



ილორი

www.ilori.ge



№ 77 (138) 27 ივლისი 2010 სანჯალსო მოქრატობა "სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

ვირთხები ჩასაპირად განწირული გემიდან ბარბიან...

ასეა, როცა გემს წყალი შეეპარება, პირველად ამას ტრიუმში მოკალათებული ვირთხები იგუმანებენ ხოლმე და ერთმანეთის მიყოლებით ხტებიან წყალში. ეს კი იმის ნიშანია, რომ გემი ჩასაპირადაა განწირული...

მართალია, საქართველოდან ჯერ არავინ გარბის, მაგრამ ხელისუფლების მიერ ქართველი ბიზნესმენების დაპატიმრებისა და მათი გაფცქვნა-გაღლეცის მოძალბებული კამპანია იმაზე მეტყველებს, რომ ისინი გრძნობენ დასასრულის დასაწყისს და ახლა რაც შეიძლება მეტი ფული უნდათ შეაწერონ ბიზნესმენებს და მერე თავს უშველონ.

როგორც ამბობენ, ნაციონალთა ბელადის დიდი გულისწყრომა გამოიწვია იმ ამბავმა, რომ შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილმა მაღალჩინოსანმა და ამჟამად "წარმატებულმა" ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დროზე აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას და საქართველოდან გაქცევით უშველა თავს. შეიძლება იგი მართლაც დასაჭერია, რადგან ფინანსური სიბინძურის საკმაოდ დიდი შლეიფი მოჰყვება უკან, მაგრამ დასაჭერია არა იმიტომ, რომ ფული წაართვან (ნაციონალებმა უნდა იცოდნენ, რომ ქურდის ქურდია ცხონებული და არა ქურდზე მისული ყაჩაღი), არამედ იმიტომ, რომ მის მიერ გაძარცვული ქართველი ხალხის წინაშე აგოს პასუხი.

ამას წინათ კი, მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, არ გაეუონა ამ ინფორმაციას, გავრცელდა ხმა, რომ სამშობლოს დაღატაკის ბრალდებით დააპატიმრეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს ნიკო ლეკიშვილთან დაახლოებულ ბიზნესმენს ბაკურ კიღურაძეს.

სასაცილოა, სატირელი და თავშისაცემი რომ არ იყოს!

რამდენადაც ვიცით, ბაკურ კიღურაძე მხოლოდ ბიზნესითაა დაკავებული და გამორიცხვულია იცოდეს, თუ რა საქციელისათვის შეიძლება მიუყენონ ადამიანს ასეთი მძიმე ბრალდება. თავადაც კარგად იცის, რომ ფულის გამოსაძალად დააპატიმრეს და ამიტომაც კატეგორიულად განუცხადებია – არავითარ საპროცესო გარიგებაზე მე არ წავაღ, დამიმტკიცეთ რომ სამშობლოს ვუღალატე და რაც გენებოთ ის მომისაჯეთო!

ასეა, ყველა როდია კურდღელივით მფრთხალი, რომელიც მზად არის ნებისმიერი თანხა გადაიხადოს უკანონოდ მიყენებული ბრალდების მოსახსნელად.

ახლა, როცა ქართველ ბიზნესმენტთა ეკზეკუციამ მასობრივი სახე მიიღო, გავრცელდა ხმები, რომ მიხეილ სააკაშვილი მაღე შეიძლება ჰააგის სასამართლოში დასვან ბრალდებულის სკამზე, 2008 წლის აგვისტოში, დამით, მშვიდობიან, მძინარე ცხინვალზე საარტილერიო იერიშის მიტანაზე ბრძანების გაცემისათვის. იმასაც ამბობენ: სააკაშვილი უკვე დაკითხეს ამ ფაქტზე, მაგრამ ხელისუფლება ამას ქართველ ხალხს საგულდაგულოდ უმაღლავსო... ალბათ ამიტომაც ჩქარობენ ნაციონალები მდიდარი ქართველებისაგან "ხარკის" აკრეფას.

ამიტომ, ვაფრთხილებთ ყველა ბიზნესმენს, ვისაც საბანკო ანგარიშზე 50.000 ლარზე მეტი თანხა გააჩნია – დროზე უშველეთ თავს, თორემ ხელისუფლება მშრალზე დაგტოვებთ!


კოლხეთი — რვანი სამყაროს კარიბჭე



კლიმენტი ზვლია

დავკლიოთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკე!


ზურაბ ცუცქერიძე



ანზორ ზონია ვბრისის სამეფო და ქართული

სანჯალსოეფოეობრიობა

ბაზეთი "ილორი" უპევა რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფუნდურთელები"



თომას პრულინი
ვილიო პუტრაბანიო
ზიბენო პონეპი

12



მებრული პოეზიის რეფსოფია კოეტი ლაშა ბახარია 5

ეს ყველაჲ უნდა წაიკითხოს!
მებრული „ნაციონალიზმი“ ანუ
შეთქმულება ერთიანი
საქართველოს წინააღმდეგ
8 ბიორბი ხუფენია

ივანე ჯავახიშვილი ქართველ ერის ისტორია

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.



9

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწევრს აკადემიკოს კლიმენტი შელიას წიგნიდან

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე ლევან სანიკიძე



ცხადია, იოსებ სტალინი არაფერს აბატებდა მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას (დამნაშავეებს თავი უნდა გადაერჩინათ, ჩანს, ჩანს ისინი ყველაფერზე, ყოველგვარ დანაშაულზე წაიფიქრებენ).

არარსებულ **“მეგრელთა საქმის”** შეკოწიწებაში, როგორც აღინიშნა, იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას ურთიერთობაში წარმოშვა გარკვეული პრობლემა, რამაც ქართველებს დააკარგვინა საუკუნეებით მტკიცე ურთიერთობები სანაშაურის ოცნება — დიდი დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს დაკარგული მიწების შემოერთების შესახებ, მაშინ, როდესაც ეს ბედნიერება 1950-1951 წლებში რეალურად კარზე იყო მომდგარი. ამას ადასტურებს ი. სტალინისა და ლ. ბერიას საუბარი ნაზიმ ჰიქმეთთან, რომელსაც მოგვიანებით მოვიყვან.

1953 წელსაა შედგენილი და გასაიდუმლოებული იყო. კრიფი საიდუმლო მხოლოდ 2007 წელს მოეხსნა. ამერიკის მხვერვალებმა ზუსტად ვერ მოახერხეს ი. სტალინის სიკვდილის მიზეზების დადგენა, რადგან ქვეყანაში ინფორმაციის კონტროლის სისტემა ძალიან მკაცრი იყო. **აშშ-ს** მხვერვათა ვარაუდების სტალინი გარდაცვალების ოფიციალურად გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე იყო გარდაცვლილი. მიუხედავად იმისა, რომ 1930-იანი წლების რეპრესიების უშუალო პასუხისმგებლობა სტალინს ეკისრებოდა, ხალხში იგი მაინც დიდი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობდა, — ამბობენ ამერიკელები. ის 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით. არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც მის გარდაცვალებას ხელი ლავრენტი ბერიამ (?) და ნიკიტა ხრუშჩოვმა შეუწყვეს, რომლებმაც მას დროული სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს.

1953 წლის 9 მარტს ი. სტალინის დაკრძალვაზე ზღვა ხალხმა მოიყარა თავი, რომელსაც ჰყვებოდა მოკვება. მსხვერპლის ზუსტი რიცხვი უცნობია. ერთ-ერთი უცნობი მსხვერპლი 1422 ნომრით იყო აღრიცხული — ესენი მხოლოდ ისინია, რომლებიც ნაცნობებმა და ნათესავ-მეგობრებმა კი ვერ ამოიცნეს.

იოსებ სტალინის არაბალხა-მირებული ცხედარი ვლადიმერ ლენინის ნეშტის გვერდით, წითელ მოედანზე მდებარე მავზოლეუმში მოათავსეს, რომელსაც 1953-1961 წლებში ლენინისა და სტალინის მავზოლეუმი ეწოდებოდა.

1961 წლის 30 ოქტომბერს სკკპ XXII ყრილობამ დაადგინა, რომ ლენინური პრინციპების სერიოზული დარღვევების გამო შეუძლებელი ხდება სტალინის ცხედრის მავზოლეუმში დატოვება. მეორე დღეს — 31 ოქტომბრის დამდეგ სტალინის ცხედარი მავზოლეუმიდან გამოასვენეს და კრემლის კედელთან დაკრძალეს (განარაჟე განსხვავებაა ნ. ხრუშჩოვისა და მ. სააკაშვილის შორის, რომელმაც ასევე დამით აიღო სტალინის ძველი გორისა და ტყეპის ცენტრიდან. მათ შორის ის მსგავსებაცაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ხრუშჩოვმა დაიწყო, სააკაშვილი კი **“წარმატებით”** უძღვება საქართველოს დაშლის პროცესებს — **“ილორი”**).

იმ პერიოდში იგნატიევი იყო უშიშროების მინისტრი, რომელმაც სტალინის პირადი დაცვის უფროსის ვლასიკის დაპატიმრების შემდეგ, ეს თანამდებობაც დროებით შეითავსა და, რომელმაც ხრუშჩოვისა და მალენკოვის დავალებით, მთავარი როლი შეასრულა ბერიასა და სტალინის მკვლელობაში (ბერია იმიტომაც არ შეიძლება მოხვედრეს სტალინის მკვლელობაში, რომ იგი იმდროინდელ პოლიტიბიუროში ყველაზე ბრძენი და გამჭრიახი პოლიტიკოსი იყო და კარგად ეცოდინებოდა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მას უიღრმესი პოლიტიკოსები აუცილებლად მოიშორებდნენ თავიდან — **“ილორი”**).

1953 წლის 2 მარტს, ორშაბათს, დანიშნული იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს სხდომა. უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები ერთიანდებოდა. ლ. ბერია დანიშნა გაერთიანებული

სამინისტროს ხელმძღვანელად. იგნატიევი განთავისუფლდა. ეს ყველაფერი გააკეთა სტალინის გარეშე.

1953 წლის 28 თებერვალს (შაბათს) სტალინის აგარაკზე სტუმრობდნენ ხრუშჩოვი, მალენკოვი, ბერია, ბულგანინი, რომლებიც გვიან დამით, სამ თუ ოთხ საათზე დაიშალნენ. სტალინი ყოველთვის გვიან იძინებდა, მაგრამ დილითაც გვიან დგებოდა. პირველ მარტს (კვირას) იგი არც II საათზე გამოიხილა, არც 12 საათზე. კიდევ რამდენიმე საათი გავიდა; დაცვამ ნუთუ არ იფიქრა, რომ სტალინს საუზმე მოუნდებოდა. სადამო ვამს მცველებმა დაურეკეს იგნატიევი, რომელმაც უპასუხა: აცალეთ კიდევ ცოტა ხანს, გამოიძინოსო. შუადღისას მოვიდა იგნატიევი. იატაკზე მყოფი სტალინი ლოგინში ჩააწვინეს, მაგრამ ექიმი არ გამოუძახებიათ. ამას ყველაფერს დაცვის წევრები წერნენ, — მიუთითებს დოკუმენტური ნაშრომის ავტორი, ნიჭიერი პუბლიცისტი, მწერალი თემურ მირიანაშვილი, — რომ **“ბერია, ხრუშჩოვის აღიარებით, მხოლოდ 2 მარტს დილით შეიტყო სტალინის ავადმყოფობა. ანუ სულ ცოტა ერთი დღე-ღამის განმავლობაში უმაღლესი ბერიას, რომ სტალინი ავად იყო. სტალინს, ოფიციალური ცნობის მიხედვით, 2 მარტს, დილით სისხლი ჩაექცა, თუმცა ეს იყო ყაღბი ცნობა, ინსულტმა სტალინს სულ ცოტა 20-22 საათით ადრე მაინც დაარტყა. მკვლელები ხრუშჩოვი, მალენკოვი და იგნატიევი არიან”**.

ქვემოთ მოგვაქვს თემურ მირიანაშვილის წიგნიდან **“ჩვენი ტრაგედიის ფესვები”** ზოგიერთი ადგილი იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას ცხოვრების ბოლო წლების შესახებ. თემურ მირიანაშვილი მიიჩნევს, რომ ბოლშევიკებმა ქვეყანაში მოსპეს სილატაკე. შექმნეს საყოველთაო სოციალური დაცვა და საყოველთაო განათლება, თანაც ძალიან მაღალი დონის განათლება, დემოკრატიაზე გადასვლასაც აპირებდნენ.

სტალინმა 40-იან წლებში ორჯერ იხსნა კაცობრიობა მონობისაგან, თანაც, მანამდე ისტორიაში არნახული ათასწლოვანი მონობისაგან, შესაძლოა სამარადისოსაგანაც.

რა კოშმარულ უბედურებას გადაარჩინა სტალინმა კაცობრიობა ომის შემდგომ, როცა ფაშისმი უკვე განადგურებული იყო? ამას კი არა, ხალხს იმსაც უმაღლეს, რეალურად რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეორე მსოფლიო ომს. შემდეგ აგრძელებს: 1917 წელს ბოლშევიკებს ძალაუფლება ხელში რომ არ ჩაეგდოთ, ორი ათეული წლის შემდეგ რუსეთს ეყოლებოდა დროებითი მთავრობის კვალზე მოსული ბურჟუაზიული ხელისუფლება, ისეთი, როგორც საფრანგეთს, პოლონეთს, სკანდინავიას. პიტლერმა ოციანი წლების დამდეგს **“მაინ კამპში”** ისეთი გეგმა დასახა, რომ ვერავინ დაუდგებოდა წინ და მას წარმატებით ასორციელებდა, ზედიზედ იპყრობდა ქვეყნებს. ერთგვარი წინააღმდეგობა შეხვდა პოლინეთსა და საფრანგეთში, მაგრამ ორ-ორ კვირაში დააამარცხა ისინი. რუსეთის ბურჟუაზიული ხელისუფლება წინ ვერ აღუდგებოდა პიტლერს და რუსეთს 1942 წელსვე დაიპყრობდა. ბუმბერაზ რუსეთში ისეთი რევოლუციური აღმშენებლობით აღტყინებას ვერავინ შეიტანდა, როგორც ეს

ბოლშევიკებმა თავიანთი რადიკალური იდეოლოგიით გააკეთეს. სტალინი შემთხვევით კი არ ამბობდა (1931 წელს): თუ ათ წელიწადში არ დავეწვეით ვეროპას, გაგვანადგურებენო. ეს ამოცანა 1941 წელს ძირითადად შესრულებული იყო.

თუ გერმანია მოსკოვს აიღებდა, მთელ კონტინენტზე გაბატონდებოდა და იაპონიასთან ერთად დაიპყრობდა მთელს აზიას. გერმანია-იტალია-იაპონია ბლიცკრიგით დაიპყრობდნენ აფრიკას, ავსტრალიას, ლათინურ ამერიკას, რესურსების გარეშე დარჩენილ ამერიკასაც. ე.ი. მთელ მსოფლიოს მოქვეყნებელი ამერიკა დამარცხდებოდა (მათ შორის განადგურდებოდნენ სტალინის ესოდენ მოძულე უიღრმესნიც, რომელთა ძირითად საბუღარს ყოველთვის **აშშ** წარმოადგენდა. ესეც შენი **“ურიული”** მადლიერება — **“ილორი”**). ახდებოდა პიტლერის სიტყვა, ათასწლოვანი იმპერიას ექმნო, შეიძლებოდა სამარადისოდ გაბატონებულიყო ფაშისმი. სტალინმა კაცობრიობა ფაშისტების სამუდამო მონობას გადაარჩინა.

თემურ მირიანაშვილი რევოლუციურადმდებ რუსეთში შექმნილი ვითარების შესახებ წერს: რუსეთში ხალხის 90 პროცენტი ფლობდა ქონების 10 პროცენტს, ათი პროცენტი კი 90 პროცენტს. მშვიდობიანად, თეთრი ხელთომანებით, მიღებები არ დათმობდნენ თავიანთ ქონებას. ბოლშევიკებს ერთადერთი გზა ჰქონდათ — რევოლუცია. ფუფუნებაში მყოფი ათი პროცენტი რევოლუციის შემდეგაც ცოცხალი თავით არ დათმობდა ქონებას. ამან სისხლისღვრა გამოიწვია. თვითონ დასავლეთ სამყაროც რევოლუციამ და სისხლმა წარმოშვა.

მეორედაც აარიდა სტალინმა მსოფლიოს სამარადისო შავი ჭირი, — წერს თ. მირიანაშვილი, — როცა ამერიკა კორეას ეომებოდა დუგლას მაკარტურის სარდლობით, კორეელებმა ისინი, ერთ დროს, უიღრმესი სამხრეთამდე მიტოვეს. მაშინ მაკარტურმა პრეზიდენტ ტრუმენს სთხოვა, უნდოდა დაეობოდა ფხენიანი, შანხაი, პეკინი, ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი და სხვა ქალაქები. ტრუმენი საკითხს ოპერატიულად იხილავდა. ამ დროს, სტალინისა და ბერიას წყალობით, საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა ატომური ბომბი, მაგრამ მათი ამერიკამდე მიტანის საშუალება არ გააჩნდათ. ვეროპამ, განსაკუთრებით ინგლისმა, დიდი ხმაური ატეხა: თუ მაკარტური აზიაში ატომურ იარაღს იხმარს, მაშინ საბჭოთა კავშირი ლონდონს დაბომბავსო! რა იქნებოდა, საბჭოთა კავშირს (სტალინი, ბერია) ბირთვული იარაღი რომ არ შეექმნა?

ყველაფერს ამას მკითხველი თავად განსჯის! სწორად წერს თ. მირიანაშვილი, რომ სტალინის შვილი მამაცი მებრძოლი იყო, მაგრამ სმა უყვარდა. არც ქალიშვილი ჰყვავდა შესაფერისი, კარგი შვილი ომში დაეღუპა. სტალინს, ბოლო წლებში, ეტყობა, გაუტკბა ვერება, ხობტა (ახალგაზრდობაში ბერძნულად ამას), პირად ცხოვრებაში ძალიან იუღბლო, გადაღლილი, მარტო კაცი იყო, ცოლი არ ჰყავდა, არც დედამამიშვილები, არც ახლო ნათესავები, რომლებიც სიბერეს შეუმსუბუქებდნენ.

“დიდი სამამულო ომის შემდეგ უკვე შეიძლებოდა დიქტატურის აღკვეთა, ნამდვილი სახალხო წყობის დამყარება.

სცადა კიდევ ეს იოსებ სტალინმა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შესძლო. ალბათ სიბერის გამო. ომის შემდეგ სტალინი აღარ იყო ძველი სტალინი, როგორც ამბობენ, ორმოცდაათიანი წლების ბოლოსაც კი სტალინს ორჯერ უთხოვენიც გადადგომა” (თ. მირიანაშვილი, **“ჩვენი ტრაგედიის ფესვები”**, გვ. 232).

კაცობრიობის მთელს ისტორიაში, დასაბამიდან, გარდა თემური საზოგადოებისა, არსად არ ყოფილა თუნდაც ერთი ჭეშმარიტი დემოკრატიული წყობა, რასაც დასავლეთში ეძახიან არჩევნებს და დემოკრატიას — სწორი არ არის, იქ ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული (დღეს დოლარი თითქმის ყველაფერს წყვეტს).

ფილიპე მაკედონელს შემთხვევით არ უთქვამს: **“დღემდე არავის აუგია ისეთი სიმბარე, რომელსაც ოქროთი დატვირთული ვირი ვერ აიღებო!”**

ომის შემდეგ ქვეყანა თითქმის არ ვითარდებოდა. აუცილებლად იყო საჭირო რადიკალური გარდაქმნა, რადიკალური ცვლილებები. სტალინმა დაიწყო რეფორმები, მაგრამ არ აცალეს, სწორედ ამიტომ მოკლეს.

უკვე 1947 წელს, 14 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუქმდა საბარათო სისტემა, ხუთი წლის განმავლობაში, ყოველი წლის ადრე გაზაფხულზე, საქონელზე ფასები მცირდებოდა, ზოგიერთ პროდუქტზე სიმბოლოური ფასი იყო, ძალიან დაბალი იყო კომუნალური გადასახადები. ინგლისში საბარათო სისტემა წლების შემდეგ გაუქმდა.

თ. მირიანაშვილი აღნიშნავს, რომ **“სტალინს უნდოდა არა მემკვიდრის დატოვება, ანუ ახალი ბელადის მოვლენება ხალხისათვის, არამედ ქვეყნის დემოკრატიზება, მერე ხალხი თვითონ აირჩევდა დირსეულ ლიდერს, თუმცა, მემკვიდრე სტირდებოდა”**, ვისაც დაეყრდნობოდა მომავალი რეფორმების პროცესში. ცნობილი იყო აზრი, რომ მემკვიდრედ უღანოვი უნდოდა, მაგრამ ის 1948 წელს გარდაიცვალა 54 წლის ასაკში, ასევე გარდაიცვალა სტალინის უახლოესი ადამიანი შერბაკოვი, რომელიც ცე-ს, მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნად დაინიშნა, მერე, თურმე, მემკვიდრედ ბერია მიანდა.

აღასანიშნავია პარტიის XIX ყრილობის (1952 წელი) და ყრილობის შემდეგ ჩატარებული პლენუმის შედეგები, რომელმაც შოკში ჩააგდო **“პატარა ბელადები”** — ცხადი გახდა, მათ განუყოფელ ხელისუფლებას, მათ ბელადობას წყალი შეუღვა. ყრილობაზე სტალინმა ხუთწუთიანი სიტყვა თქვა, მაგრამ პლენუმზე, რომელიც ორი საათი გაგრძელდა — საათნახევარი ილაპარაკა. მანამდე პოლიტიბიუროში იყო 10 წევრი და 5 კანდიდატი, ახლა კი პოლიტიბიუროს ნაცვლად სტალინმა შექმნა პრეზიდიუმი უკვე 25 წევრით და 11 კანდიდატით. უკანასკნელ წლებში პოლიტიბიუროს შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა და, ალბათ თავი ეგონათ მუდმივ ბელადებად (დარგობით ბელადებად მაინც), თავი მუდმივად გარანტირებული ჰქონდათ, მაგრამ უკვე 36-კაციანი ბელადობა არ გამოდიოდა, შეუძლებელი იყო.

(გაგრძელება იქნება)

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო

მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი



თვითმფრინავი “ანტ-42” კი პეტლიაკოვის მიერაა შექმნილი და მას შემდეგ “პე-8” ეწოდებოდა. მისი პირველი “სრულმასშტაბიანი” გაფრენა შედგა 1937 წლის 11 აგვისტოს, დუბლიორის პირველი გაფრენა კი 1938 წლის ივლისში. და სწორედ “დაპატიმრების” შემდეგ მიეცა პეტლიაკოვის დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება. სწორედ შრომა-გასწორებით ბანაკში დაუდო მან სათავე თავისი შესანიშნავი ბომბდამშენის “პე-2”-ის შექმნის სამუშაოებს, რომლის სერიული გამოშვება დაიწყო უკვე 1940 წლის დასასრულს.

ტორპედოშიდი “ანტ-41” პრინციპში ვლადიმერ მიხეილის ძე მიახიშჩევის აგებულია. 1938 წელს იგიც დაინიშნა დამოუკიდებელი საკონსტრუქტორ ბიუროს ხელმძღვანელად და და პრაქტიკულად მაშინვე შეუდგა მსოფლიოში ყველაზე მაღლამფრენი და შორსმოქმედი ბომბდამშენი “დებ-102”-ის სერიულად გამოშვებას. ამ თვითმფრინავს პერმეტოვი კაბინა და შეიარაღების მართვის დისტანციური პულტი გააჩნდა. ამ პიონერული თვითმფრინავის შექმნისათვის 1942 წელს მიახიშჩემა სამჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ სტალინის მადლობა დაიმსახურა, საკონსტრუქტორ ბიუროს კი სტალინური პრემია გადაეცა.

თვით ტუპოლევემაც მოუმატა სამუშაოთა ტემპს “პატიმრობისას”. 1940 წლის გაზაფხულზე მან მიიღო მომავალი “ტუ-2”-ის დარეპროექტების დავალება და 1941 წლის იანვრის თვეში თვითმფრინავი უკვე გამოცდას გავიდა.

არა, შეთხზული ბრალდებით ბერიას ციხეში არაფერ გაუსტუმრებია. მაგრამ, რას მის უწყებაში მიმდინარეობდა ამგვარი სამუშაოები (რაც ჯერ კიდევ ბერიას შინსახკომში მისვლამდე დაიწყო), მან ორგანიზება გაუკეთა, რომ პროცესები დანქარებულიყო არა შიშის ძალით, არამედ საგამომიებო სამუშაოებისათვის შესაბამისი პირობების შექმნით.

ბერიას მკითხველი, ჩემთვის იოლი სრულიად არ გახლდათ ბერიას მიმართ წამოყენებული ბრალდებების კორიანტელში გარკვევა! ეს გაუვალ ტყეში ხეტიანს ჰგავს... შორიდან მყარ კედელს ჰგავს. ახლოს რომ მიხვალ, შეიძლება ცალკეული ხეების გარჩევა, შემდეგ ბოლიკსაც შეამჩნევ, შეიძლება გზის გაგრძელება.

წინ წასვლა კი აუცილებელია! როდისმე ხომ უნდა გავერკვეთ საკუთარ ტექნიკურ ისტორიაში? ტუპოლევის სახელი ჩემთვის ბავშვობიდან წმიდააწმიდა გახლდათ. ასეთადაც დარჩება — მიუხედავად მისი არაერთგვაროვანი ბუნებისა და შეცოდებებისა. იგი პატივსაცემი პიროვნებაა. იგი დიდი პროფესიონალი და ბუმბერაზი პიროვნება გახლდათ.

მაგრამ არ შეიძლება, რომ დამნაშავეებისათვის დაგროვილი ლაფი უდანაშაულოებს მივახსნათ (მხედველობაში მყავს ბერია). ასე, დამნაშავეს ვერ გავამართლებთ და გავაღამახებთ, ისტორიას კი დავამახინჯებთ!

ტუპოლევი არასოდეს არ ყოფილა საბჭოთა ხელისუფლების ფანტიკური მომხრე. უფრო მეტიც — იგი გამოკვეთილი ანტისაბჭოთა ფიგურა გახლდათ. და რაღაც მომენტში მან სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა მასზე მინდობილი ახალგაზრდობა. თვით ხრუშჩოვლებიც კი აღიარებენ, რომ ბრალდებულთა “უმა-

რავლესობამ” შეცვალა მის მიერ ძიებისათვის ადრე მიცემული ჩვენება. გამოდის, რომ ჩვენება ყველას არ შეუცვლია. ესე იგი, დანაშაულს რეალურად ჰქონდა ადგილი! მაგალითად, აკადემიკოსები ნეკრასოვი და სტეკინი საბოლოოდ გაანთავისუფლეს მხოლოდ 1943 წლის 27 თებერვალს.

როგორც კი ბერია შეამჩნია, რომ ახალგაზრდა მიახიშჩევი და პეტლიაკოვი გატაცებით მუშაობდნენ პატიმრობაში, დარწმუნდა, რომ მათ ასეთივე წარმატებით შეეძლოთ ემუშავათ შინსახკომის (აგრეთვე — ტუპოლევის) მეთვალყურეობის გარეშეც და მან დაუყოვნებლივ მოითხოვა სწავლულთა განთავისუფლება. მაგრამ ხრუშჩოვსა და ხრუშჩოვლებს ლავრენტი ბერიასაგან “მონსტრის” შექმნა სურდათ... და დედოფ-სეროგ-ბარანოვის წერილიც ამ საქმეს ემსახურებოდა.

ესეც არ არის ყველაფერი! ეს სამეფული ხრუშჩოვისადმი მიწერილ ბარათში ამტკიცებდა:

“შემოწებით დადასტურდა, რომ ტუპოლევისა და სხვა ავიაკონსტრუქტორების მიერ შექმნილი თვითმფრინავები, რომელთა შექმნისას გამოიყენებოდა დადასტურება მავნებლობის ფაქტები, სინამდვილეში წარმოადგენდნენ უმაღლესი ხარისხის ნაწარმს (ტბ-3, სბ და სხვა)...”

ტუპოლევის უდანაშაულობის იმით დამტკიცება, რომ მის მიერ კონსტრუირებული თვითმფრინავები სერიულად გამოდიოდა, მხოლოდ გონებაჩლუნგებისათვის არის განკუთვნილი. დახვეწილი საბოტაჟი იმით არის დახვეწილი, რომ შორიდან ყველაფერი ნორმალურად მოხანს, მით უმეტეს, თუ წარმოება უშვებს უმაღლესი ხარისხის ნაწარმს.

ოღესღაც ძმები რატიკების მიერ შექმნილი თვითმფრინავიც უმაღლესი ხარისხის ნაწარმი გახლდათ.

მაგრამ მოვიშველით კლასიკური ნაწარმოები — ვადიმ ბორისის ძე შავროვის “საბჭოთა კავშირში 1938 წლამდე თვითმფრინავების კონსტრუირების ისტორია”:

“ეს თვითმფრინავი (იგულისხმება “ტბ-3”), როგორც უნიკალური ქმნილება, გამოირჩევა არა მხოლოდ მისი შექმნის პერიოდისათვის... იგი იყო მსოფლიოში პირველი ოთხმტორიანი ბომბდამშენი, რომელსაც ჰქონდა ძლიერი, ფრთების წინ დამონტაჟებული ძრავები.

1930-1931 წლებისათვის თვითმფრინავ “ტბ-3”-ის შექმნა იყო წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი და იგი ტექნიკური სრულყოფილების ნიმუშად იქნა აღიარებული...” 1931 წლისათვის — ჰეშმარიტად, მაგრამ როგორი იყო იგი 1941 წელს?

გერმანელებს უკვე 1935 წელს ჰქონდათ “იუნკერს-88”-ის და “ჰენკელ-111”-ის პროექტი, ინგლისელებს გააჩნდათ “ლანკასტერი”... ამერიკელებმა ამავე წელს შეიმუშავეს “ფორინავი ციხე-სიმაგრის” და “ბონინ-17”-ის პროექტი. ტუპოლევი კი უსაშველოდ ჰტიმავდა ნელადმფრენი მოდიფიკაცია “ტბ-3”-ის გამოშვების ვადებს. და დიდი სამამულო ომის დაწყებისას “ტბ-3” მორალურად მოქვედებული, უფრო სწორად, დანაშაულებრივად მოქვედებული იყო. მიუხედავად ყველა რეკორდისა, რომელიც ტუპოლევის მიერ შექმნილმა თვითმფრინავებმა დაამყარეს, 1941 წლისათვის ჩვენ გვქონდა მხოლოდ ილუშინის მიერ შექმნილი მასიური შორეული მოქმედების ბომბდამშენი “დფ-3ფ” (“ილ-4”), პეტლიაკოვის მაღალმფრენი ტური, მაგრამ ძალიან ძვირი “პე-8” და პეტლიაკოვისივე საფორნტო ბომბდამშენი “კე-2”.

ფაქტი ფაქტი! უკვე ოცდაათიან წლებში სახელგანთქმული გერმანელი კონსტრუქტორების ვილი მესერშიტის, ჰუგო ოენკერის (1936 წელს გარდაიცვალა 77 წლის ასაკში), ერნსტ ჰენრიხ ჰეინკელის (სხვათა შორის, ტუპოლევის თანატოლის), ასევე “ფოკერულფის” ფირმის მიერ

გამოშვებული საბრძოლო თვითმფრინავები წარმატებით მოქმედებდნენ მთელი ევროპის მსოფლიო ომის განმავლობაში, მათი კონსტრუქციები კი ოცდაათიანი წლების შუა პერიოდში იყო ჩაფიქრებული და განხორციელებული.

“პირადად” ტუპოლევის მიერ შექმნილი თვითმფრინავებიდან მხოლოდ ერთი — “ტუ-2” იღებდა მონაწილეობას ბრძოლაში და ისიც გაკეთდა მხოლოდ მაშინ, როცა ტუპოლევი იძულებით გახდა შინსახკომის №29 საკონსტრუქტორ ბიუროს ხელმძღვანელი.

ობიექტურად ტუპოლევის ტექნიკური და ორგანიზაციული პოლიტიკა არ შეიძლება შეფასდეს როგორც მავნებელი, მაგრამ იგი მაინც ახლოს იდგა ამ სიბოროტის ზღვართან. იგი ხომ მთავარი იდუილოგიური ფიგურა იყო 1930-იანი წლების საბჭოთა საჰაერო ხომალდმშენებლობაში.

ცენტრალური აეროპილოდინამიკური ინსტიტუტის მთავარი კონსტრუქტორი...

ამავე ინსტიტუტის საავიაციო განყოფილების, პილოტაჟის, საცდელი მშენებლობების განყოფილების გამგე...

ცენტრალური აეროპილოდინამიკური ინსტიტუტის უფროსის მოადგილე, საცდელი მშენებლობის სექტორის საკონსტრუქტორ ბიუროს უფროსი...

და ბოლოს, სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი საავიაციო სამმართველოს უფროსის მოადგილე და მთავარი კონსტრუქტორი.

აი, თანამდებობები ეკავა ტუპოლევის 1930 წლიდან 1937 წლამდე.

მაგრამ, რა შედეგი მოუტანა მან ქვეყანას ამ პოსტებზე მუშაობისას?

მოვიყვან ციტატას ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე იაკოვლევის ჩანაწერებიდან: “თუ ერთმანეთს შევუდარებთ 1939 წლამდე გერმანიასა და საბჭოთა კავშირში გამოშვებული თვითმფრინავების ძირითად ტიპებს, ეს შედარება აშკარად გამოკვეთს ჩვენს უპირატესობას.

გამანადგურებლები მიზ-ი, იაპ-ი, ლაბბ შეიქმნა მხოლოდ 1940 წელს როგორც საცდელი ეკსპერამენტები.

ვერც ტუპოლევის მიერ შექმნილი “სბ” სჯობდა რაიმეთი იშ-88-ს...

საბჭოთა მოპიკირე ბომბდამშენი კე-2 მხოლოდ 1940 წელს გამოჩნდა, ხოლო ფეხოსან ჯართან ერთობლივად მოქმედი “იუნკერსის” ტიპის მოპიკირე გამანადგურებლები საერთოდ არ გაგვაჩნდა

ეს გახლდათ არა მხოლოდ ტუპოლევის “მასწრობელა” მონოპოლისტური პოლიტიკის, არამედ თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის შეიარაღების დარგში ტუსაჩევის დანაშაულებრივი სამხედრო-პოლიტიკური კომპანიის შედეგიც. და რათა დიდ სამამულო ომს სათანადოდ მომზადებულნი შეგვედროდით, საჭირო შეიქნა სტალინის მიერ მძლავრი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება. 1940 წელს საავიაციო საკითხებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 300 გადაწყვეტილება და დადგენილება, 1941 წელს კი — 488.

მაგრამ სწორედ 1938 წლიდან დაიწყო საბჭოთა ავიაშენებლობის არნახული აღმავლობა, და გამოშვებულ იქნა თანამედროვე ტიპის თვითმფრინავები.

არც ის გახლდათ შემთხვევითი მოვლენა, რომ საბჭოთა ავიაციის ისტორიის კლასიკოსის შავროვის (რომელმაც სერიული თვითმფრინავი-ამფიბია “შ-2” შექმნა) წიგნის სათაურად შავროვის “საბჭოთა კავშირში 1938 წლამდე თვითმფრინავების კონსტრუირების ისტორია”. მეორე წიგნის სათაურია: “საბჭოთა კავშირში 1938-დან 1950 წლამდე თვითმფრინავების კონსტრუირების ისტორია”.

“დემოკრატიისათვის” 1938 წელი მხოლოდ რეპრესიების წელია. საბჭოთა ავიაციისათვის კი — მისი განახლების ეპოქა.

და ის, რომ ამ აღმავლობის ავტორთა ნაწილი “განსაკუთრებულ” რეჟიმში აღ-

მოჩნდა და დაცვის ქვეშ “ყაზარმულ მდგომარეობაზე” იყო გადასული, ეს სრულიად არ გახლდათ ბერიას ბრალი. ბერიას მკითხველი, მე ხომ ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს “ხრუშჩოვლთა” მთელი სიცრუის თაობაზე... მათ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდნენ მანამდეც, ვიდრე 1955 წელს მოხსენებით ბარათს შეადგენდნენ ხრუშჩოვის სახელზე... სკკპ ცეკას ბერიას საწინააღმდეგო პლენუმზე, როცა ბერიას სახელს დაუნდობლად სვრიდნენ ლაფში, მოლოტოვმა თქვა:

“ცნობილია იმ ყოფილ მავნებელთა სახელებიც, რომელთაც მართლაც კარგი თვითმფრინავები გააკეთეს და შემდეგ კატეგორიულად უარყვეს თავიანთი ანტისაბჭოთა წარსული. ისინი ყოველივეს მიუხედავად, ჩვენი მრეწველობის გამოჩენილ საბჭოთა მოღვაწეებად მოგვევლინენ, როგორც მოწინავე ინჟინერ-კონსტრუქტორები...”

ვის შეუძლია უარყოს, რომ ამ სიტყვებში არ იგულისხმება ტუპოლევი?

ღიახ, კონკრეტულად ტუპოლევი, რადგამ მოხსენების სტენოგრამაში ჩამოთვლილია შემდეგი გვარები: “ა. ტუპოლევი, ვ. პეტლიაკოვი, ვ. მიახიშჩევი და სხვები”.

მეორეც, მე მოვიყვანე ნაწილები ჩასწორებული სტენოგრამიდან, რომელიც ჩართულია ა. იაკოვლევის ფონდის მიერ გამოცემულ კრებულში “ლავრენტი ბერია”. მაგრამ იქვე ჩართულია ჩაუსწორებელი სტენოგრამაც, სადაც მოლოტოვმა (რა თქმა უნდა, ხრუშჩოვის თანდასწრებით) თქვა:

“ტუპოლევი იჯდა როგორც მავნებელი, ახლა კი კარგ თვითმფრინავებს აკეთებს ჩვენითვის. როცა დარწმუნდა, რომ ამ ხელისუფლებაზე უნდა ემუშავა, ამუშავდა კიდევ და დემერტმა ჯანმრთელობა მისცეს მას ამისათვის.

იგი უკვე აღარ არის ის ადამიანი, იგი ახალი ადამიანია...”

ესეც ასე! ტუპოლევი მაღალი ტრიბუნაზე დასახლდა მავნებლად! ყოფილ მავნებლად... და არავის გაუპროტესტებია მოლოტოვის ეს სიტყვები, არავის უთქვამს რომ ვიანქსლავ მიხეილის ძე მოლოტოვი იმეორებდა ბერიას მიერ ტუპოლევის წინააღმდეგ “შეთიხნელი” ბრალდებას.

ის ხომ ბერია იყო, ბერია, ბერია...

სხდომათა დარბაზში მაშინ ხომ არ იმყოფებოდა ლავრენტი პავლეს ძე, რომელსაც შეეძლო დოკუმენტურად დაედგინა მოლოტოვის სიტყვების სისწორე.

მაგრამ როცა ბერია ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა, იგი კი არ აწამებდა დაპატიმრებულებს, არამედ ცდილობდა “განსაკუთრებული” სამუშაო რეჟიმში შეექმნა მათთვის. ვამთავრებ რა ტუპოლევიდან დაკავშირებულ ამბების თხრობას, კიდევ ერთი რამ უნდა მოვყვე... უფრო სწორად, მოვიყვან ნაწილებს ცენტრალური სახელმწიფო საავიაციო ინსტიტუტის აეროდინამიკოსის აპოლინარი კონსტანტინეს ძე მარტინოვის მოვრებიდან.

ერთხელ მას გამოუძახა ცენტრალური სახელმწიფო საავიაციო ინსტიტუტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პოცეკინმა და აცნობა, რომ ხვალ მარტინოვი უნდა მივიდეს ტუპოლევის ჯგუფში საკონსულტაციოდ და დაუმატა: “თქვენ იქ თქვენს ყოფილ მეგობრებსა და ნაცნობებს ნახავთ. ნუ აღელდებით და ნუ შეწუხდებით. საუბარი მკაცრად საქმიანი იქნება და სხვა თემებს არ შეეხება”.

საუბარი შედგა მოსკოვში, რადიოს ქუჩაზე მდებარე ცენტრალური სახელმწიფო საავიაციო ინსტიტუტის შენობაში. ამდენად, მარტინოვს ქუჩაში გამოსვლაც კი არ მოუწია — იგი, უბრალოდ, შენობის მეოთხე სართულიდან მესუთეზე ავიდა...

— მე ვრცელ ოთახში შემყვანეს, — იხსენებდა მარტინოვი, — და წარმადგინეს მაიორ კუტეპოვთან... რომელიც, როგორც ჩანს, ჯგუფის ხელმძღვანელი იყო.

გაგრძელება იქნება



მებრუღი პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდიშა).

გემწარ, მარა ვაგომირთვ
ვართ რსქინქვ დო ვართ ხვეწაქვ;
კვნი ალანჯირა მოფთხუ
მაზაკვალიში ნაკვეცაქვ.

ლანჯიშ ჯასგ ქიმკი პონუ,
გეკოკაშე მონკათ შური,
- სქუას მუგახვამანქია, -
მიწუნ... სქერას ქიშმაბლური.

კურთალარცვ ქუმაქანჩუ
ნორჩალიშე ნაქენჩაქვ
თოლც ნოცეცხელქ გამწომციუ,
ეშე ყვაშა ქოსხაპ წარქვ!

უკანკო გეგნობეინტი
ყორყელც ათომარქვილ გური,
ჩოხუშ სქებუს ქულურთანდვ
ღუგობინი, ჩილაშური.

გეგოლი დო უორხოლეთ
გემე ფუთშა გეპჩი დუდი,
მაზანდარას ჩქიმ მარებულც
გემუხალი დიდაშ მუნდი.

ჩილიშ მოხვ თენა მიწუ:
ჯგვრ ფანდური უჩქულა,
ბოშემც უკარკალანდგნი
ჩუპა ხოლო უჩქულა,

გემე მუმაჟვარჟვალუდუ,
ყუმენულცუ, უფიშ ცუნდი,
წყურგილც ინგობირდინენი...
კვარჩხე გინოფრუედ ქული.

ნაღობერაშ დაჩხირითი,
დახე ყუდე დუჭულა,
კურუამო გეგნობრაყით, -
ჩილაშურცუ ყურწუნლა!

ხუთ თუთას ქალგობიჯუდი,
კოლოშ თიათ მალთაყვასგ.
ჭყიშის ალგაბადალუდი,
ვემულუდი ყუჩა ყვასგ...

ოჭ უდური მუთა მულალ,
ვართ ყუნაფუ ოზგოტარი.
გეგნიქსოგ, მარა დიო
ნდლულაფირი ვარე თერი...

ჯიმადიქვ გალმაკითხუ,
მარა მერკე თანაფასგ:
- მოლართია... ვარია უწი, -
ორინჯ გერდვ შქა ხაფასგ.

ირო კოლოს დოიზადგნცვ,
ვაგუჩიდა ჯგვრო გური,
ღორონთქ დოჭყუ იშ ნაქურე,
ვარა, სოლე მუნონთერი?!

არაფერი გამოვიდა
არც მუქარა, არცა ხვეწნა,
კვლავ საწოლში მიმათრევედა
ის ეშმაკის მუგუხალი,

ხეს მიეყრდნო მერე მიძიმედ
ამოთქვა და ამოღერდა:
- ვაჟიშვილი შეგეძინა!
მე კინაღამ წავიქეცი,

ტრუსხე ხელი ჩამავლო და
მექაჩება საწოლისკენ,
წამომცვივდა ნაპერწკლები,
ლამის შუბლზე ახტა წარბი.

ისევ უკან გადავყლაპე
ყელზე მობჯენილი გული,
დოლაბს აამოძრავებდა
ჩემთა ცრემლთა ნაკადული.

ავხტი, დავხტი... და უსაგზლოდ
ფოთისაკენ გავეშურე...
ჩემს მარებელს არაერთგზის
გავუხსენე დედის ტრაკი.

მან კი მითხრა: შენი ცოლი
ფანდურს კარგად უკრავდაო,
კაცებთან რომ კაკანებდა
ჭიპი უთახთახებდაო.

მშიერ-მწყურვალს ოფლის ცვარით
დაცვარული მქონდა შუბლი,
წყაროში რომ ჩავიხედე -
უაუღმა მეხურა ქული.

წკნელის ღობის ცეცხლით სახლი
ლამის მისცა ხანძარსაო,
საყვარელთან ერთად გარეთ
გავაგდეთ აცრემლებული.

ხუთ თვეს ვეგდე იქ უაზროდ
კოლოების ტყვეობაში,
მწყემსებს შეკედლებული და
სირცხვილს სახლში არ მივყავდი.

ნამზითევი რა ჰქონდა და
ჩვენ არ გაგვეტანებია,
წავიდა და გადაშენდა,
თუმც დასტოვა ცუდი კვალი.

ბიძაჩემმა მომაკითხა,
აღდგომამდე კვირით ადრე,
- წამოდიო! უარი ვთქვი,
ნახირი მოვიმიზეზე.

მის შეკმაზულს, გაკეთებულს
მუდამ ჰქონდა მწარე გემო...
ან საიდან მოათრიე,
წყეულიმც იყოს მისი კვალი.

მებრუღი ენის ლექსიკა განსაზრებელი ლექსიკური სიძლიერა

- მანქაფანს - ცხვირნარგული, კისერნაძირული, პირფართე.
- მანარხანს - ზომახე მეტი ფეხსაცმლით.
- მანანანს - აგდებულად ჩაცმული, მისთვის სულერთია.
- მანარქანს - მიფხარკალებს კოჭლივით.
- მანაკანს - მრისხანე, ცნობისმოყვარე, ყოყლოწინა, ბრუხუნა.
- მანგვანს - დაჯაბნული, რეტდასხმული, ბორცული გამომტყვევება.
- მანგვარანს - ურემში შებმული ხარივით, ნელი, აუნქარებელი ნაბიჯით.
- მანგვანანს - მაღალი აღნაგობის, მხარბეჭიანი, წარმოსადეგი და ამაყი.
- მანგვარანს - ვეგბაულვაშიანი, თავს ყოვლის-შემძლედ გრძნობს.
- მანარქვანს - კრიჭაშეკრული, მოზუზღუნე.
- მაბგვანტანს - აბუზული წვრილი კაუჭა ცხვირით.
- მაბგვანკანს - ქუთუთოები შეშუპული, თვალის ოდნავ გამოღებები.
- მაბგვანანს - დაბლენძილი, ჩამომონძილი, თმა-გაწეწილი.
- მაბგვანანს - დაბეჩავებული, გადრუნული.
- მაბგვანანს - გაბადრული სახე.
- მაბარგანს - უავტორიტეტო სახით.
- მაბგვანანს - პატარა ტანის, არივგარდულად, ბავშვივით.
- მაჭგვანანს - სახე ვარდისფერი.
- მაჭკვანანს - კბილებჩაცვენილი, ნაოჭებიანი, დაღალული სახე.
- მანჭყვანტანს - ფერიჭამიებით დაწაწკნული სახე.
- მაჭგვანანს - იჭყიტება, კეთილი განწყობით.
- მაჭყანტანს - წყლით სახე ფეხსაცმლით, ჭყაპუნით.
- მაყვანანს - ჩლუნგი გამომტყვევლებით.
- მაყვანანს - ტანმორჩილი და დაუდგრომელი, ბაყაყივით მოყვინე.
- მაყარტანს - გაძვალტყავებული, მამალივით გრძელი და დაბარგავებული კისერი.
- მაყარხანს - გარეგნულად მოუხეშავი, მაღალი კისერი მსხვილი თვალვებით.
- მაყვანანს - ტუჩები გაბუშტული, ავადმყოფური სახე, გაყვილლებული.

შეადგინა მირიან ჯალალონიამ,
ურნალი "აია", 2000 წელი, №8.
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბთავაზობთ ნაფხვებებს ნაკო მანსიას ნიგნიდან როგორ განსხვიდა აფხაზეთი.

...“ფსოუდალეულთა” აქციებს მხარს უჭერდნენ სახელმწიფო საბჭოშიც. გავეხსენოთ, თუ რა ხშირად გადმოსცემდა ცენტრალური ტელევიზია აფხაზეთა გამაღიზიანებელ ამ კადრებს. სამწუხარო და საბედისწერო გახლდათ ის, რომ ასეთ დესტრუქციულ ძალებს და მათ ქმედებებს ვერდნობოდა და იყენებდა სახელმწიფო საბჭო და არ ენდობოდა აფხაზეთის პარლამენტის ქართული დეპუტაციის პროგრესულ და საღად მოაზროვნე ნაწილს, არ იზიარებდა და ყურად არ იღებდა მათ გამაფრთხილებელ წინადადებებს. სწორედ, ასეთმა მოვლენებმა და საზოგადოებაში დესტრუქციული ტენდენციების და ძალების წახალისებამ, ხელისუფლების მხრიდან მათზე დაყრდნობამ და მხარდაჭერამ ხელი შეუწყო კონფრონტაციისა და დესტაბილიზაციის გარდამავებს, სამხედრო კონფლიქტის დაწყებას აფხაზეთში.

ამდენად, აფხაზეთში ომი, შესაძლოა, კანონზომიერი იყო, მაგრამ არამც და არამც გარდაუვალი! ყველაფრის თავი და თავი, მაინც ხელისუფლებაში ცივი და სადი გონების დეფიციტი, პოლიტიკური ნებისა და ძლიერი ხელისუფლების უქონლობა გახლდათ. ჩვენი უბედურება, პირველყოფილისა, ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების დამსობამ და ლეგიტიმაციის დეფიციტმა განაპირობა. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, თუ გავიხსენებთ აფხაზეთში ე.წ. საკავშირო რეფერენდუმისა და მისი გაყვალბებული შედეგების ბათილად ცნობას ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის მიერ. ყველას კარგად გვახსოვს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ამ საქმის გამოძიება და ყოველგვარი ემოციების გარეშე, რეფერენდუმის შედეგების გაუქმება.

ანალოგიური სიტუაცია შეიძლება განმეორდეს, სანამ იქნება დესტრუქციული ძალების ასპარეზი საზოგადოებაში და გაგრძელდება მათი თარეში ხელისუფლებისათვის, საშიშროება იარსებებს მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდება ერთიანი, ძლიერი და ხალხის ინტერესებისა ერთგული ხელისუფლება. ამის გარეშე შეიძლება ახალი საბედისწერო ტალღები აგორდეს და ახალი ცეცხლი გაჩნდეს სხვა რეგიონებშიც. ეს უნდა გვახსოვდეს!

...საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული მოსახრება, რომ ომის განაღდებაში დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის უმადლესი საბჭოს ქართულ დეპუტაციას. მას ბრალს სდებენ დალატის ტოლფას ქმედებებში. ამბობენ, რომ

ვერ გაინაწილეს თბილი სავარძლები და ამიტომ ჩაიშალა საპარლამენტო საქმიანობა. მათი მოქმედებით თუ უმოქმედობით კიდევ უფრო დამძიმდა პოლიტიკური ვითარება, რასაც მოჰყვა დესტაბილიზაცია და ომი აფხაზეთში... არის ამაში რაციონალური მარცვალი...

ათიათასობით უდანაშაულოდ დახოცილთა სულის მარადიული ძახილი და სამასათასამდე სიკვდილს გადაარჩენილთა გაუსაძლისი ყოფა მოითხოვს: დასახელდნენ ისინი, ვინც ჩაიდინა ეს უგუნურება და წვრილმანკაცობა!

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ეს აუცილებელიცაა, მით უფრო, ვისაც ღომის წილი მიუძღვით აქ დატრიალებულ უბედურებაში, მონანიების მცირეოდენი ნიშანწყალიც არ ეტყობათ. ისინი განაგრძობენ პოლიტიკურ და კომერციულ თარეშს, ქედმაღლობას და უზნეო საქმიანობას. მათთვის მთავარია თავად იყვნენ კარგად, ძალიან კარგად, სხვების თავზე თუნდაც ქვას უთოვია და ყველა და ყველაფერი აღგვილა პირისაგან მიწისა. მათ არ იციან რაა ტკივილი, სხვისი სატკივარი უცხოა მათთვის! არ გასჭირვებიათ და არ იციან რაა განსაცდელი, სიღუბნური და ბედის უკუღმართობა. ელიმებათ იქ, სადაც ტირიან, ქირქილებენ იქ, სადაც სევდას მოუცავს ყველაფერი. სათანადო შემთხვევაში მათ კვლავ წაუცდებათ ხელი სხვა უბედურებებზეც...

...ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, თუ ვინ გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტივობით იმ შეუპოვარ და შეუწყნარებელ ბრძოლაში. მაგრამ მაინც საჭიროა აღინიშნოს იმ პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრის გივი ლომინაძისა და მისი პირველი მოადგილის ალექსანდრე ლომინიშვილის მიერ (ამ უკანასკნელს ირჩევენ თავმჯდომარედ!) საამისოდ სახელდახელოდ (დააკვირდით!) შექმნილი (მოსკოვში ე. შევარდნაძის, ა. იაკოვლევისა და გ. პოპოვის პარტიის მსგავსად) ე.წ. პროგრესულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა, მაგრამ იმ დროისათვის იყო ძირითადად ყოფილი პარტოკრატების, საბჭოური ჩინოვნიკებისა და სხვა მოხელეებისაგან შემდგარი ჯგუფი. შემდეგ ისინი გაერთიანდნენ ე.წ. ეროვნული ერთობის საბჭოსა და მათ მიტმანნილ უმადლესი საბჭოს ქართული ნაწილის ცალკეულ წევრებთან თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით.

სწორედ ეს დაჯგუფება გახდა შემდგომში დესტრუქციული გადაწყვეტილებების მიღების მთავარი ორგანიზატორი...

აბრისოს სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

მართალია, თითქოს დადგენილია, რომ ბერძენებმა კოლხეთის სამეფო ეგრისის სამეფოს დაარქვეს და კოლხები – ეგრებს (მეგრელებს), მაგრამ კოლხეთშიც იმდენი წვრილ-წვრილი ტომია დასახლებული, რომ საერთო ენის არსებობა მეგრელებშიც ეჭვის ქვეშ დგება.

ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ბევრი სხვადასხვა ტომია დასახლებული – გუგარები, შავშები, კლარჯები, ტაოელები, მაკრონები, ჰენოსები, თუბალები, ხალდეები, ხალიბები, სანიგები, მისიმინები, შქვითინები, ჯიქები და ა.შ., რომლებიც თითქოს მონაწილეობდნენ ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესში და თითქოს ნაწილის ასიმილაცია მოახდინეს იბერებმა (ქართლებმა) და ნაწილისა – კოლხებმა (მეგრელებმა).

სამწუხაროდ, არსებული ისტორიული წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ზუსტად დადგინდეს მათი ენობა. მეცნიერები უფრო იმ აზრს ემხრობიან, რომ ისინი სხვადასხვა წარმომავლობის ტომებია, თუმცა შეიძლება ისეთივე წარმატებით გვევარაუდო, რომ ისინი საერთო ეთნოსის მქონე, სხვადასხვა დასახლებების ტომებია, რომლებიც ერთ ხალხს ეკუთვნის და არა აქვს მნიშვნელობა, რა იქნებოდა მათი საერთო სახელი – იბერები თუ ეგრები.

ფიქრობ, ეს ტომები ისტორიას შემორჩნენ იმ სახელებით, როგორც იწოდებოდა იბერიის (ქართლის) თუ კოლხეთის (ეგრისის) ესა თუ ის ნაწილი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და შეიძლება ისინი იბერები (ქართლები) და კოლხები (მეგრელები) ყოფილიყვნენ; მაგრამ იმ ეპოქაში მიმდინარე ურთულესი ისტორიული მოვლენების შედეგად, ალბათ, ხშირად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმანეთისგან მოწყვეტილი იყვნენ და არასწორი წარმოდგენა უყალიბდებოდათ თავიანთ პროვინციულ კუთვნილებაზე. უფრო სწორად, თავის ეროვნებად თვლიდნენ იმ კუთხის დასახლებებს, სადაც ცხოვრობდნენ, მით უმეტეს, შორეულ წარსულში არათუ მნიშვნელოვანი დასახლება, არამედ საგვარეულოც კი თავს ტომად მიიჩნევდა და ტომის ბუღალს მეფედ თვლიდა, რამაც ისტორიაში სხვადასხვა სახელებით მათი შესვლა განაპირობა. შესაძლებელია, იგივე სიტუაცია ყოფილიყო, როგორც დღეს გვაქვს, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველები იწოდებიან ქართლებად, მეგრელებად, კახელებად, იმერლებად და ა.შ. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ, რაც დღეს გვაქვს საქართველოში, ეს ყველაფერი ამ ტომების მიერ არის შექმნილი, ეს კი მორალურ უფლებას გვაძლევს ისინი ერთი ეთნოსის მქონე ერთი ხალხის ნაწილებად მივიჩნიოთ და არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მათი საერთო სახელი იბერი იქნებოდა თუ კოლხი.

ამ გვარად შედარებით ენათმეცნიერების საშუალებით ქართულ ერის ნათესაეობის გამოკვლევის იმედი თითქოს გააღწეოტეს. მაგრამ ამის მიუხედავად ზოგიერთ მეცნიერებს შედარებით მაინც თავი არ დაუნებებიათ. 1884 წელს ფრიც პომმელმა ერთი წერილი დაბეჭდა, სადაც იგი ამტკიცებდა, ვითომც ქართულს განსაკუთრებით ელამიტელთა ენასთან ჰქონდეს ნათესაობა (Oesterr. Monatschrift für den Orient №2, Febr. S. 60). შემდეგ მან თავისი აზრი უფრო მეტად გააფართოვა და ამტკიცებდა, რომ ქართულს სუხისა, ელამიტელთა, კოსსიელთა, ხეტელთა, კაპადოკიელთა და ბასკების ენასთან აქვს ნათესაეობა. ყველა ამ ენებს იგი ენათა ერთ ჯგუფად თვლიდა და ლენორმანსავით "ელამოლოგუს" ექაზის (Zeitschrift für Keilschriftforschung II, S. 330 ff. und Litterat. Centralbl. 1890 v. Spaete 1288 f.) ეს აზრი ამ ბოლოს დროსაც გაიმტორა და ამბობდა, რომ მთელი მცირე აზიისა, მიდისისა, სომხეთისა და ჩრდილოეთ ასურეთის მიწა-წყალი ამ ალაროდელს ეჭირება (Prof. Dr. F. Hommel, Grundriss d. Geographie u. Geschichte d. alten Orients. 1904 v. I. & 33,34).

აზრი ქართულისა და ვანურ ლურსმულ წარწერების ერის მონათესაეობის შესახებ პირველად ფ. ლენორმანმა გამოსთქვა, შემდეგ სვისი და სხვა მეცნიერებმა მიემხრნენ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ხოლო წერილი ქართულისა და ელამიტელთა ერის მონათესაეობის შესახებ პირველად, როგორც აღნიშნული იყო, ფრიც პომმელმა გამოაქვეყნა. პრ. ფ. პომმელის აზრს ბევრნი დაეთანხმნენ და თითონაც სხვა და სხვა მხრივ დამამტკიცებელი საბუთებიც მოიყვანეს; მაგალითად ქართულისა — "კავკასიურისა" და ელამიტელთა ერის ნათესაეობის შესახებ შემდეგი წერილებია დაბეჭდილი კ. ვინკლერისა "Die sprache der zweiten Kolumne der dreispr. Inschriften u. das Altäaische (Dreslau, 1896 v. S. 65) გ. პიუსინგისა (იხ. Orientalistische Literatur-Zeitung, Sept. s. 385) ფ. ბორკისა "Für elamischen literation" (იხ. Orientalistische Literatur-Zeitung, 1900 v. Januar, s. 8-12) და კ. ვინკლერისა "Elamisch und Kaukasisch". (იხ. Orientalistische Literatur-Zeitung, 1907 w. November, s. 566-573).

ქართულისა და ფრიგიული მონათესაეობის შესახებ არსებობს გ. პიუსინგის Phrygisches I და II (იხ. Orientalistische Literatur-Zeitung, 1901 v. Juni, s. 229-232 და 1902 v. Okt. s. 422-424) წერილები ქართულისა და მიტანურის მანათესაეობის შესახებ დაბეჭდილი აქვს ფ. ბორკი ერთი წერილი "Mitani-Namen aus Nippur" (იხ. Orientalistische Literatur-Zeitung, 1906 w. Novemb. s. 588-591) ქართულისა და სუხის ერის ნათესაობას ფ. პომმელის გარდა ამ ბოლო დროს De Charensu ამტკიცებს თავის პატარა წერილში Le pronome de la 1-re personne en Georgien et en Susien (იხ. Journal asiatique 1907 v. Juillet-août, p. 179-181).

მაგრამ უკვე 1895 წელს პიუსი უხარდებოდა, ერთადერთმა ევროპელმა მეცნიერმა, რომელსაც მაშინ ქართული ენა შესწავლილი ჰქონდა, სამართლიანად აღნიშნა, რომ ვისაც მსურს ქართული რომელსავე ენას შეადაროს, ქართული მაინც ხეირიანად უნდა იცოდესო, არც ერთს მათგანს-კი, რომელიც ქართული ენისა და ხემოაღნიშნულ ენების შესახებ ლაპარაკობენ, ქართული ერის არც აგებულებს ესმით, არც ის ახსოვთ, რომ ქართულს მრავალ საუკუნოების გან-

მავლობაში მწერლობა ჰქონდა და ამ ერის საუნჯის ცოდნა საჭირო (იხ. Uder das Georgische, von Hugo Schuchardt. Wien, 1895 v. &. 5-7).

ამის გარდა ხემოაღნიშნული მეცნიერები ქართულსა და "კავკასიურ" ენებს ერთი ერთმანეთში დომხალივითა რევენ და თავიანთ აზრს დასამტკიცებლად ერთი მაგალითი ქართულიდან მოჰყავთ, მეორე ჩანწურიდან, მესამე ავირიულიდან, მეოთხე ჩერქეზულიდან და სხვა; ამ გვარად თავიანთ შექმნილ ენას "კავკასიურს" ეძახიან. მართალია, წინადაც თქმულა და ეხლაც ბევრი საბუთები მოიპოვება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთს ენებს (მაგ. ახსაზურს, ჩერქეზულს, დიდოურს) ქართულთან ნათესაობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ აზრს ჯერ კიდევ მეცნიერულად დამტკიცება უნდა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ მეცნიერებამ თეორიულად ერთი თავდაპირველი ენა აღადგინოს, მხოლოდ მაშინ შეიძლება "კავკასიურ"-ზე ლაპარაკი. რაკი ხემოდასახელებული მეცნიერები თავიანთ მოვალეობას ასე ხელდაპირულად უყურებდნენ, ვასაკვირვებელიც არაფერია, რომ მათ მედგარს ცდას დიდი არაფერი შეუქმნია. თუქმცა პროფ. შუხარდტმა სხვა მეცნიერების შედარებას ღირსეული მსჯავრი დასდო და ეჭვის თვალთ შეხვდა, მაგრამ მაინც გაკვირვებით ქართულ ერის შესახებ თავისი საკუთარი აზრიც გამოსთქვა: "ქართულისა და იბერიულის (ესპანიაში) ერის შორის ზოგიერთში მჭიდრო ერთობა არსებობს, ხოლო ბასკური ენაც თავდასხვად საბუთების გამოიხიბით ქამურ ენათა ჯგუფს დაუკავშირეს; ამიტომ შესაძლებელია ყველა ამ ენებს ერთი ფესო ჰქონდეთ", სთქვა ბატ. შუხარდტმა თავის ხემოაღნიშნულ წერილში (Hugo Schuchardt. Uder das Georgische, *7).

როგორც ეტყობა პრ. შუხარდტის ამ აზრის ზეგავლენით იტალიელი მეცნიერი ალფრედო ტრომპეტო შესდგომია "კავკასიურისა" და განსაკუთრებით ქართულ ერის მონათესაეობის გამოკვლევას. 1902 წელს მან უკვე იტალიურ საახიო საზოგადოების ჟურნალში თავისი პროფ. კ. შუხარდტისადმი მიმართული წერილი დაბეჭდა, Della relazione delle lingue caucasiche con le camitosemitiche e con altri gruppi linguistici. Lettera al Professore Hugo Schuchardt" (იხ. Giornale della societa asiatica italiana, vol. guindicesimo e sedicesimo, parte prima). დავრთვებობთა შედარებამ პროფ. ალფ. ტრომპეტო შემდეგ დასკვამდე მიიყვანა: 1) კავკასიურ ენებს ძველ ქვენიერების ბევრ ენათა ჯგუფთან ჰქონია დამოკიდებულება, მაგრამ ყველაზე უძველესი, ღმირ და არსებითი დამოკიდებულება ქართულ-სემიტურ ენებთანაა ჰქონდა, განსაკუთრებით კი "აფრიკეთის" (ასე იწოდება ქართულად "აფრიკა" უკვე ძველ მწერლობაში — იხ. ჯავახიშვილი) ენებთანაო. 2) ბასკური თავდაპირველად კავკასიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნოდა და მშველზე უფრო აფხაზურ-ჩერქეზულსა და ქართულს ემხრობა"ო (Giornale della societa asiatica italiana, 1903 v. vol. sedicesimo parte prima. გვ. 146 (28)).

პროფ. ნიკო მარის გამოკვლევა, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი, გვიჩვენებს, რომ თუქმცა იტალიელი მეცნიერი სიმართლეს უახლოვდებოდა, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებას ვერ მიაგნო. ბ. ტრომპეტის ნაკლავ ქართულ ერის უცოდინარობა შეადგენს, განსაკუთრებით მრავალ საუკუნოების მწერლობის ერისა; მას ქართულ ხმის აგებულება ვერ გაუგია ხეირიანად და არსებითი შემთხვევით მოვლენისაგან ვერ გაურჩევია. შემდეგ სხვებსათვის იხიც "კავკასიურ" ენებზე ლაპარაკობს და თავისი მაგალითები სხვადასხვა ენებიდან აქვს ამოკრებილი. იხიც უნდა სთქვას კაცმა, რომ ქამიურ ენების ქართულთან შედარება მეცნიერებას შეურყევად დასკვნას ვერ შესძენს იმიტომ, თუთ ქამიურ ენების აგებულება საკმაოდ შესწავლილი არ არის, არც საბოლოოდ გადაწყვეტილია ის საკითხი, თუ რა მიზეზზე დამოკიდებული სემიტურ ენათა ჯგუფისა და ქამიურ ენათა ჯგუფის ზოგიერთში მსგავსება, სემიტელების ზეგავლენაზე, თუ ენათა-მონათესაეობაზე? ალფ. ტრომპეტის ამას გარდა დიდი შეცდომა მოუვიდა, რომ ქართულისა, ბასკურისა, "კავკასიურისა" და ქამიურ სემიტურ მონათესაეობის დამტკიცება ერთბაშად მიინდობა და ამით ისედაც რთული საგანი უფრო გაართულა, — ასე მოხიბლა

და გაიტაცა პროფ. კ. შუხარდტის გაკვირვებითა და აზრმა.

დასასრულს პროფ. ნიკო მარის გამოკვლევის შესახებ. 1886 წელს გაზეთ "ივერის" № 86-ში ნ. მარმა დაბეჭდა პატარა წერილი "ზუნება და თვისება ქართულის ერისა", სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ ქართულს სემიტურ ენათა ჯგუფთან აქვს ნათესაობა. ამ პირველ წერილის შემდეგ ნ. მარის თავის სხვა და სხვა თხზულებებში ხშირად გავუმტორებია ეს აზრი და აქა-იქ ამის დამამტკიცებელი საბუთებიც დაუსახელებია. 1899 წელს პროფ. ნ. მარმა პირველად წაიკითხა უნივერსიტეტში სრულებით დამთავრებული შედარებითი ქართულ-სემიტური გრამატიკა, რომელიც შედარებითი ქართულ-სემიტური გრამატიკა, რომელიც შედარებითი ბევრათა მეცნიერებასა და სიტყვათა წარმოებას შეიცავდა, ხოლო გრამატიკის შემდგომ მრავალ ქართულ სიტყვების ფსოებს სემიტურ ჯგუფის ენებში თანასწორი და მონათესაე ფესობები მოუძებნა და მათი იგივეობა შედარებითი ბევრ-კანონებით დამტკიცა. ამ სტრიქონების ავტორი მაშინ ჯერ უნივერსიტეტში იყო და ყველა ეს დეტალიც მოიხიბა. წერილს პროფ. ნ. მარმა უკვე გამოაქვეყნა — "Основныя таблицы къ грамматике древне-грузинского языка съ предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими", 1907 v. სადაც ავტორს ქართულისა და სემიტურ ენათა ჯგუფის მონათესაეობის უმთავრესი დამამტკიცებელი საბუთები მოყვანილი აქვს: ქართული ერის ბევრათა კანონები სემიტურ ენებისაგან ემსგავსება და იმათსავეთ ქართულსაც ყანურატისანიერთ ბევრანი უხვად აბაღია; სიტყვათა წარმოებაში მონათესაობა იმითი მტკიცდება, რომ სემიტურსავეთ ქართულსაც ბოლოსართების გარდა თავსართების ხშირად იცის; ხმანში ქართულსაც იმგვარსავე ნაცვალსახელები ნიშნებს ხმართებს ხოლმე, როგორსაც სემიტური ენები; მიმდებარე ქართულში სემიტურსავეთ ორგვარი მოიპოვება; ერთი სიტყვით, როგორც სიტყვათა წარმოებაში, ისე ხმის აგებულებაში ქართულსა და სემიტურ ჯგუფის ენათა შორის არსებითი მსგავსება არსებობს. ამ ენების ნათესაობას ფესოების შედარებაც ამტკიცებს; მოვიყვანთ პროფ. ნ. მარის ხემოაღნიშნულ თხზულებიდან ორიოდ მაგალითს:

სახლი — არაბულს "ახლი" (ოჯახსა ნიშნავს) ებრაულს "ოხელ" (კარავსა ნიშნავს).

სრბა — "ჰარაბა" (გაიქცა). "ჰარაბუ" (გაქცევა, რხენა).

სრისა — არაბულს "ჰარასა" (დანაყა, გასრისა).

გა-სვარა — არაბულს "გაფარა" (გასვარა, გაამტკეპრიანა).

სმენა — არაბულს "სამივა" (ისმენდა, ისმინა), სირიულს "შმაგ" (იგივე მნიშვნელობა აქვს).


ყოველი, ყველა — არაბულს "კულლუ" (ყველაფერი), სირიულს, "კულ" (იგივე მნიშვნელობა აქვს).

პური — სირიულს "ვაბურ".

მო-უკიდა, იკიდა — არაბულს "ვაკადა", "იაკილუ" (ცეცხლი მოუკიდა).

ბილი-ი, სვლა — არაბულს "სებილუ" (გზა), სირიულს "შებილ" (იგივე მნიშვნელობა აქვს).

დანარჩენ მაგალითებს მსურველი თვით პროფ. ნ. მარის თხზულებაში იპოვნის. გაგრძელება შემდეგ ნომერში



“მეგრული საპიროსი“

(გთავაზობთ ნაწვევებს ბატონ ვახტანგ გვარამიასა და პროფესორ გიორგი ციციშვილის ამავე სახელწოდების წიგნიდან)

საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ხელმძღვანელად ლ. ბერიას მოსვლის პირველ ხანებში ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში იწყება ერთგვარი ლიბერალური და შედარებით დემოკრატიული ღონისძიებების გატარება. საკავშირო კომპარტიის (ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად ლ. ბერიას დანიშნვის წლისთავის გამო “ყაზაყიში გაზეთი“-ს მოწინავე წერილი, იმდროინდელი წესისამებრ, აქებს ბერიას ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას. გაზეთი აშუქებს იმ მიღწევებს, რომლებიც ამ პერიოდში აღინიშნა: “საქმის წარმოება, სასამართლო საქმეების გაძღვლა, საბჭოთა აპარატის მუშაობა და დაწყებით სკოლებში სანიმუშო სწავლება გადაყვანილია ადგილობრივ მეგრულ ენაზე... გამოდის 5 მრავალტომიანი ნაბეჭდი გაზეთი, კედლის გაზეთები, ბროშურები და სხვა” (“ყაზაყიში გაზეთი”, 1932 წლის 5 ნოემბერი).

მეგრული გაზეთის მიმართ ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდა. თავდაპირველი ხუთდღიური გამოცემა ყოველდღიურ გაზეთად იქცა. მეტი ყურადღება დაეთმო კულტურის ისეთ საკითხებს, როგორცაა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, კოლხეთის ჭაობების დაშრობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, მოსახლეობის კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, სასკოლო მშენებლობა, სასკოლო სწავლების სრულყოფა. აღნიშნულთა გამო მეგრული გაზეთი არავის გაუკრიტიკებია.

1932 წლის 27 მარტიდან 31 მარტამდე ზუგდიდში გაზეთ “კომუნისტის” ინიციატივით ჩატარდა ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, სენაკის, ხობის, გალის, კოდორის, წაღენჯის და ჩხოროწყის, მაშასადამე, მეგრული რეგიონების “დამკვირვებელი კორესპონდენტების პირველი შეკრება”. იგი მიემდგინა საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით პრესის მუშაობის სრულყოფას. მაგრამ მან, ამასთანავე, ბევრ უადრესად საყურადღებო სხვა ამბავს ახადა ფარდა.

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ი. ჟვანიამ. მან პრესისა და პარტიული განათლების საკითხები დაუკავშირა თესვის კამპანიას. მოსვენებით გამოვიდა გაზეთ კომუნისტის წარმომადგენელი აკ. ჭაჭუა. მან ისაუბრა პრესისა და კორესპონდენტების ამოცანებზე. სიტყვით გამოვიდნენ კორესპონდენტები: სენაკიდან – ცხაკაია, ზარქუა და უხანეთიშვილი. მარტვილიდან – გობეჩია, ჩხოროწყუდან – შენგელია, გალიდან – ალ. სოფია, ზუგდიდიდან – მესხია, სეფ. შამუგია, ხობიდან – მ. ბუხანიძე, აბაშიდან – ჯიბლაძე, მარტვილიდან – ქუთელია, კოდორიდან ვ. კუცია და სხვები.

მარტვილიდან კორესპონდენტმა გობეჩიამ, თავისი რაიონის გლეხობის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალა, რომ რაიონების ქართულ გაზეთებს მისცემოდათ მეგრული დამატება, ხოლო სოფლის კედლის გაზეთები გაფორმებულიყო ადგილობრივი გლეხობისათვის გასაგებ მეგრულ ენაზე.

“ყაზაყიში გაზეთი” საუკეთესოდ აწარმოებს ჩაის ფაბრიკების რემონტის კამპანიას, – აღნიშნა ორატორმა, – ჩვენ ეს გადავიდეთ და კარგი შედეგი მოგვცა”. მან აგრეთვე განაცხადა: “მარტვილის მორინჯე (მოსახლე – ავტ.) გლეხობა მოითხოვს მეგრულ გაზეთს და კიდევ უნდა მისცენ”. იქნებ იცრუა? არა, მან სიმართლე სთქვა.

ჩხოროწყის წარმომადგენელმა შენგელიამ თქვა: “ჩხოროწყიში ‘ყაზაყიში გაზეთი’ მცირე რაოდენობით ვრცელდება, გაზეთი არ მოსწონთ რაიონის ხელმძღვანელებს, რადგან მათ აკრიტიკებს. ჩვენ

გვინდა ‘ყაზაყიში გაზეთის’ გავრცელება, მაგრამ დახმარება არ გავიწივს ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა... კედლის გაზეთი სოფელ ჭოლაში ქართულ ენაზე გამოდიოდა და იმანაც მიატოვა გამოსვლა. არც ვინმეა ქართული გაზეთის წამკითხველი”.

სოფელ ნარაზენის წარმომადგენელმა დაკარგულიამ საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ ფოსტაში გამოწერილი “ყაზაყიში გაზეთი” ბლომდაა დაგროვილი. ფოსტის გამგე კი პატრონამდე მიწოდებას არ ფიქრობს...”

კოდორის წარმომადგენელმა ვ. კუციაშვილმა შეკრების მონაწილეებს აამცნო: “წაღენჯის ხელმძღვანელი ორგანოები ‘ყაზაყიში გაზეთს’ უყურებენ როგორც მტერი და ხელს უშლიან მშრომელ მასაში მის გავრცელებას. სულ სხვა მდგომარეობაა კოდორის რაიონში. აქ გამოდის რუსული და აფხაზური გაზეთი (! – ავტ.), რომლებიც გაუგებარია რაიონის უმეტესობისათვის, ამიტომ უდიდეს როლს ასრულებს ‘ყაზაყიში გაზეთი’ და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ძალიან იყენებს მის გავრცელებას. კოდორის რაიონში ‘ყაზაყიში გაზეთი’ ასე პროცენტით ვრცელდება. იმისათვის, რომ ყველა გლეხის ოჯახში შევიდეს ‘ყაზაყიში გაზეთი’ საჭიროა მისი ტირაჟი გაიზარდოს, თორემ რაც მოდის, ეს არ არის საკმარისი. ‘ყაზაყიში გაზეთი’ აშუქებს ისეთ საკითხებს, რომლებიც ცენტრალურ გაზეთებს არ შეუძლიათ, რადგან ეს გაზეთი უფრო დაახლოებულია თავისი კორესპონდენტების რაზმით სამეგრელოს ყველა საჭიროებას და მდგომარეობას. მუშკორების ვალა ხმა აიმაღლონ ყველა იმ ელემენტის წინააღმდეგ, რომელიც ცერად უყურებენ ‘ყაზაყიში გაზეთს’.

ჩხოროწყის რაიონის წარმომადგენლის სახით გამოვიდა კომკავშირის რაიკომის კულტპროპაგანდის განყოფილების გამგე “დ. კია”. მან აღნიშნა: “კედლის გაზეთების მუშაობა კარგად დგას... გეგმების შესასრულებლად იღვწიან”. ადგილიდან რეპლიკა ესროლეს: “რა ენაზე გამოდის კედლის გაზეთი?” პასუხი ასე დაუბრუნა: “სადაც ინტელიგენცია აქ ქართულად და სხვაგან მეგრულად...” ამას მოჰყვა შეძახილი: “ტყუილია!” ორატორმა გააგრძელა: “ჩვენს რაიონში ‘ყაზაყიში გაზეთი’ ვრცელდებოდა პირველი მარტის მონაცემებით 210 ცალი, ეხლა ვრცელდება 120. მიზეზი იძენება იქ რომ გაზეთში ხშირად იბეჭდება ჩვენი რაიონის ნაკლოვანებები და ხელმომწერთა წერილებს იმდენი ყურადღება არ ექცევა. ამას გარდა, ხმარობენ სიტყვებს: ‘დუღმახევიჯი (თავმჯდომარე), მეღამოსე (ბეღალი)...’ ე.ი. ძველი ‘პლასტინკა’ დაატრიალა.

ჩხოროწყის რაიონის კომკავშირის წარმომადგენლის აზრი ადვილად ამოიცნო ი. ჟვანიამ. მან თავის სიტყვაში, თვითკრიტიკულად აღიარა, რომ საკავშირო კომკავშირის ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებს დღემდე არ არის დაყვანილი ძირეული რეკომენდაციები, რომ ეს ხარვეზი უნდა გამოასწორონ კომუნისტებმა და “ყაზაყიში გაზეთმა”. ამის შემდეგ ი. ჟვანიამ საკუთარი მეურვეობით გამომაჯავლი გაზეთის შესახებ თქვა: “რა საკითხავია გაზეთს აქვს ნაკლოვანებები, საჭიროა კორესპონდენტებმა მოგვწერონ გაზეთის ხარვეზების შესახებ... აქ გამოდის 20 ორატორი ერთხმად ამტკიცებს ‘ყაზაყიში გაზეთის’ მიღწევებს, არც სტილი და ენა დაუწუნიათ, რადგან იმდენად გასაგებია მეგრული გლეხისათვის, რამდენადაც ‘კომუნისტი’ ქართველი გლეხებისათვის... გვიწუნებენ 2-3 სიტყვას, თითქოს მართლაც ეს გაუგებრობა აძლევს დევნის უფლებას? ‘დ. კია’ აქ თავის სიტყვას არ ამბობს, გრამფონის როლს ასრულებს. მას უთხრეს, ასე თქვი და ასეც თქვა. ‘კიას’ გამოგზავნას სჯობდა კორესპონდენტი გამოგზავნათ. მაგრამ კორესპონდენტს გრამფონად ვერ გამოიყენებენ...” როგორც ვხედავთ, აქ

აისახა უთანხმოებანი, კერძოდ ი. ჟვანიასა და ჩხოროწყის რაიკომის მდივნის დაპირისპირება.

სხდომის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა აკაკი ჭოჭუა. მან დამწერეთ განუცხადა: “ჩვენმა მუშაჯორებმა უნდა იცოდნენ, რომ ‘ყაზაყიში გაზეთი’ საქ კბ (ბ) დადგენილებით (! – ავტ.) ყოველდღიურად (! – ავტ.) გამოდის”. ისინი რომ გაზეთის წინააღმდეგ დაპარაკობენ, რა თქმა უნდა, ფაქტიურად საქ კბ დადგენილების წინააღმდეგი არიან... ‘კია’ მართალი არ არის, თითქოს არ უნდა დაეწერათ ჩხოროწყის წინაარმდეგობების შესახებ. ჩხოროწყის რაიონში განსახორციელებელი მეურნეობის საერთო საცხოვრებელი ქარმა გააპარტახა, იგი გამოუყენებელია. კოლექტივების საწარმოო გეგმები შედგენილი არ არის. აქ რომ ვთქვათ ყველაფერი რიგზეა – იქნებოდა თავის მოტყუება”.

შეკრებაზე გამოსული ორატორების სიტყვების, გახ. “კომუნისტის” წარმომადგენლის აკ. ჭოჭუას მოხსენებისა და მისი შემაჯამებელი სიტყვის საფუძველზე სამეგრელოს ძირითადი რაიონების კორესპონდენტთა წარმომადგენლების კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მუხლებში სამაგალითოდ არის წარმონიშნული “ყაზაყიში გაზეთის” საქმიანობა. რეზოლუციის VIII მუხლიში აღნიშნულია, რომ “სამეგრელოს რაიონის გაზეთები (‘ყაზაყიში გაზეთის’ გამოკლებით) სუსტად წერენ სოციალისტური მეურნეობების საკითხებზე. მიჩნეულ იქნას, რომ ‘ყაზაყიში გაზეთს’ დევნიან ბევრ რაიონებში რიგი პასუხისმგებელი ამხანაგები. მოითხოვდნენ იქნა ისიც, რომ ბევრ რაიონში არ არის მოთხოვნა მეგრულ გაზეთზე.

საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ მარტვილის, სენაკის და სხვა რაიონებში უფრო ფართოდ გავრცელდეს ‘ყაზაყიში გაზეთი’ ან ნახევარი ადგილი მიეცეს მეგრულ ენას იმ გაზეთებში, რომლებიც გამოდის ქართულ ენაზე სამეგრელოს რაიონებში. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ‘ყაზაყიში გაზეთის’ და მისი კორესპონდენტურის დევნას რიგი რაიონების ზოგი პირების მიერ (‘ყაზაყიში გაზეთი’, I/IV. 1932).

ჩემი აზრით, სამეგრელოს რეგიონის მოწინავე კორესპონდენტთა შეკრებაზე გამოსული ორატორების ნაზრევი და მის საფუძველზე მიღებული რეზოლუცია ნათლად მოწმობს არა მარტო იმ ფაქტს, რომ “ყაზაყიში გაზეთი” წარმატებით ემსახურებოდა პარტიის მიზანდასახულობათა ხორციუხსნას, არამედ იმასაც, რომ:

– მთავარი მეგრული გაზეთი გამოხატავდა სამეგრელოს იმ რეგიონების ფართო მშრომელი გლეხობისა და კორესპონდენტების მოწონებას, რომლებშიც იგი ვრცელდებოდა.

– “ყაზაყიში გაზეთზე” მოთხოვნილება ბევრად აღემატებოდა მკითხველისადმი მიწოდებულ რაოდენობას, და თუ არა, სამეგრელოს ცალკე რაიონების ხელმძღვანელთა პოლიტიკური დევნა და გაზეთის გავრცელების მიზნობრივი დაბრკოლება, მისი 16-ათასიანი ტირაჟი ბევრად მეტი იქნებოდა.

– სამეგრელოს რეგიონის მოწინავე პურნალისტების შეკრებამ ცხადა გახადა წაღენჯის, ჩხოროწყის და სხვა რაიონების ხელმძღვანელთა ი. ჟვანიასთან პოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ “ყაზაყიში გაზეთის” კრიტიკული პოზიცია. როგორც ჩანს, ზემოთ აღნიშნულ წარმატებათა საფუძველზე მიაკუთვნეს ამ მეგრულ გაზეთს გარდამავალი დროის ზუგდიდის რაიონში დატოვების უფლება, რის შესახებაც ვითხოვლობთ 27 სექტემბრის წერილში. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს დადგენილებით აღინიშნა, რომ “ყაზაყიში გაზეთმა” დიდი მუშაობა გაშალა კოლმეურნეობათა ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო

გლეხების მასების მობილიზაციის, საგაზაფხულო თესვის კომპანიის და სოფლის მეურნეობის სოციალური გარდაქმნის საქმეში (იხ. გაზეთი “კომუნისტი”, 1991, 29 ივნისი).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, თუ როდენ არასწორად და მიზნობრივად დაკნინებულია “ყაზაყიში გაზეთის” მნიშვნელობა, როდესაც მოიმარჯვებენ ხოლმე მისი გავრცელების იმ პროცენტულ მანუენებლებს, რომლებიც განისახლდებოდა სამეგრელოს სხვა რაიკომის მდივნების მხრივ “მეგრული გაზეთის” ხელისმომწერთა ხელოვნურპოლიტიკანური შეკვეცით, ხელმომწერამდე გაზეთის მიუტანლობით და კორესპონდენტების დევნით.

მაშასადამე, ისიც ცხადი ხდება, რომ სათანადო დოკუმენტები საჭიროებს ყველა ცნობილი წაროს ურთიერთკავშირში გააზრებას, რის გარეშე შეუძლებელია რეალური მდგომარეობის ობიექტური გამოკვლევა და ამ შემთხვევაში სიმართლის გაგება.

“ყაზაყიში გაზეთის” შემდეგ ნომრებში აისახა მიმდინარე პოლიტიკურ-სამეურნეო და კულტურული საქმიანობა. გაზეთში დაბეჭდილ სტატიებს შორის, ამ წინამდებარე წიგნით დასახული ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთმა მათგანმა ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო. ვფიქრობთ, რომ ისინი მკითხველისათვისაც საინტერესო იქნება და ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მათზე შედარებით ვრცლად შეჩერება.

“ყაზაყიში გაზეთის” 1932 წლის 18 იანვრის ნომრით ირკვევა, რომ ზუგდიდის II პარტიულ კონფერენციაზე პირველი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სამეურნეო ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ცენტრალური ადმინისტრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. სწორედ ამ დროს წარმოთქვა მან თავისი ცნობილი აზრი სამეგრელოს რეგიონისათვის ადმინისტრაციული ოლქის სტატუსის მიკუთვნების აუცილებლობის შესახებ.

“ყაზაყიში გაზეთი” ყურადღებას უთმობს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს 1932 წლის 16 მარტის დადგენილებას “საყოველთაო სწავლების მიმდინარეობისა და ამოცანების შესახებ”, რომელიც გაზეთ “კომუნისტში” გამოქვეყნდა 29 მარტს და შემდეგ საფუძველად დაედო ზუგდიდის რაიონის ცალკეული სკოლების პირველდაწყებით კლასებში მეგრულ ენაზე სწავლების ექსპერიმენტის განხორციელებისათვის ფართო მოსამზადებელი მუშაობას. ამასთან დაკავშირებით “ყაზაყიში გაზეთმა” გამოაქვეყნა ძველი მასწავლებლის კოლია (ნიკოლოზ) ბუკიას წერილი “მეგრულ ენაზე პირველ დაწყებით სწავლების შესახებ” (I.VII.1937) და პედაგოგ ჯ. როგავას სტატია “რატომ არის უმჯობესი მეგრულ ენაზე სწავლება დაწყებით სკოლებში” (22.VII. 1932). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გაზეთის მიერ ჯერ კიდევ 2 მარტს “კომკავშირული გვერდის” ყოველ მე-5 დღეს გამოშვების გამო დაბეჭდილი წერილის სიტყვები: შეიძლება ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა და მისმა აგენტებმა ჩურჩული დაიწყონ ახალგაზრდებს ამოწმებენ ქართულ ენასო, სულაც არა. მეგრული წერთ ჩვენ ვუმარტობთ სკოლის გარეთ დარჩენილ ახალგაზრდებს. ჩვენმა ორგანიზაციებმა წუთითაც არ უნდა შეასუსტონ ყურადღება ქართულის და სხვა ენების მიმართ, მათი შესწავლის მიმართ (“ყაზაყიში გაზეთი”, 1932, 2 მარტი). ამის წამკითხველი ვერ უნდა ახერხებდეს ამ მეგრული გაზეთის მიმართ ღვაობის გადმონთხევას, მაგრამ, როგორც ჩანს, ან არ წაუკითხავთ, ან მისთვის მიზნობრივად არ მიუჩივებიათ სათანადო ღირებულება. ზოგს კი ჰგონია, რომ მიწის მუშა ამ გაზეთით არ გაცდებოდა, იმ დროს ეროვნული ავტორების ნაწერის წაკითხვით შეაგებდა.

ბაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უბეველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იზადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გენიბლადნენ თავიანთი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაულო სათავე სპორტის ამ უღამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოვედინა სამყაროს, მაგრამ ჩვენ რუბრიკა მინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი - ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სახანაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "ატცეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუშინიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "პემდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" აგსებენ პირთამდე დღევანდელი

ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს. ამ რუბრიკით ჩვენ გავაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

თომას ბრულინი

დაიბადა 1969 წლის 29 ნოემბერს შვეიცარიაში. თამაშობდა კლუბებში "გიფი" სუნდგეალი, "შვეიცია", "პარმა" იტალია (სამჯერ), "ლიდს იუნაიტედი", ინგლისი, "ციურხი", შვეიცარია, "კრისტალ პელესი", ინგლისი. ბრულინი ჯერ კიდევ ბავშვობიდან ითვლებოდა იმედისმომცემ ფეხბურთელად. შვეიციის ნაკრების შემადგენლობაში მისი დებიუტი შედგა 1990 წელს, როცა შვეიციის ნაკრები შეხვდა უელსელებს და გაიმარჯვა ანგარიშით 4:2. ამ მატჩში ბრულინი ორი გოლი გაიტანა. მალე ამას კიდევ ორი გოლი დაუმატა ფინელებთან შეხვედრაში, რომლის შემდეგაც ბრულინი შევიდა იქვე შვეიციის ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში. იტალიის ფინალურ ტურნირში მან სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია და მაშინვე იყიდა "პარმამ". ბრულინი 1992 წლის ევროპის პირველობაზე მონაწილეობდა 1992 წელს და ინგლისელთა კარში გაიტანა შესანიშნავი გოლი. 1993 წელს კი დიდად დაეხმარა "პარმას" ევროპის თასის მფლობელთა თასის მოპოვებაში. ერთი წლის შემდეგ კი ბრულინი შვეიციის ნაკრების შემადგენლო-

ბაში მესამე ადგილი მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. მაგრამ, სერიოზულმა ტრავმამ დიდად შეუშალა ხელი მის შემდგომ კარიერას. თამაშს კი აგრძელებდა, მაგრამ იგი აშკარად ვეღარ იყო წინანდელი ბრულინი.

ემილიო ბუტრაგენიო

დაიბადა 1963 წლის 22 ივლისს, ესპანეთში. თამაშობდა კლუბებში "კასტილია", "რეალი" მადრიდი, ესპანეთი, "სელაია", მექსიკა. მადრიდის "რეალის" ნორჩ ფეხბურთელთა მწვრთნელები ერთხმად მიიწვევდნენ, რომ ბუტრაგენისაგან ფეხბურთელი არასოდეს დადგებოდა. ამიტომ, არასდროს არავის უფიქრია მისი გუნდში ჩართვა. მაგრამ "კასტილიაში", საფეხბურთო კლუბ "რეალის" შვილობილ გუნდში, ამ საკითხზე სულ სხვა აზრი გააჩნდა. სწორედ აქედან დაიწყო მისი აღმავლობა და უკვე "რეალის" შემადგენლობაში ბუტრაგენიოს შევარდენს უწოდებდნენ. მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ბუტრაგენიო ამ დიდებული გუნდის ცენტრალურ ფიგურად იქნა აღიარებული. სწორედ მისი გასაცარიონ ტექნიკის წყალობით მოიპოვა "რეალმა" უფას თასი 1985 და 1986 წლებში. ამ წლებში ბუტრაგენიომ ორჯერ მიიღო პრიზი "ბრაგო", რომლითაც აჯილდოვებდნენ ევროპის ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ნაკრების შემადგენლობაში მან პირველი გოლი 1984 წელს გაიტანა, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ნამდვილ "ადმირანდ" და სენსაციად იქცა. მეორე წრეზე გამართულ მატჩში დანიის ნაკრების წინააღმდეგ მან ოთხი გოლი გაიტანა, რაც უდავოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ზაბიხვო პონეკი
დაიბადა 1956 წლის 3 მარტს, პოლონეთში. თამაშობდა კლუბებში: "ზევიცა" ბიდგოში, "ვიდევი" ლოდი (პოლონეთი), "იუვენტუსი", "რომა" (იტალია). პონეკი ფეხბურთელთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებიც წარმატებით ჩაენაცვლნენ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების შუალედში მოთამაშე დიდ პოლონელ ფეხბურთელებს. იგი მართლაც რომ ვარსკვლავით ბრწყინავდა როგორც მსოფლიო ჩემპიონატში, ასევე "იუვენტუსის" შემადგენლობაში. პონეკა მსოფლიო დონის ფეხბურთელის ავტორიტეტი ჯერ კიდევ მაშინ მოიპოვა, როცა "ვიდევის" შემადგენლობაში თამაშობდა. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ბელგიის გუნდის წინააღმდეგ, პონეკა სამი გოლი გაიტანა და სწორედ მაშინ დაინტერესდა ამ ფეხბურთელით "იუვენტუსის" გუნდის ხელმძღვანელობა. მის შესაძენად იტალიურმა კლუბმა გადაიხადა იმ დროისათვის მართლაც ზღაპრული, პოლონეთისათვის კი სარეკორდო თანხა - 1,1 მილიონი ფუნტი სტერლინგი. იტალიელები ამ არჩევანში არც შემცდარან, რადგან სწორედ პონეკა გაიტანა გადამწყვეტი გოლი 1984 წელს, ევროპის თასის მფლობელთა თასის ფინალში, "პორტუს" კარში. მომდევნო წელს "იუვენტუსმა" ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა, რომლის ფინალშიც "ლივერპული" დაამარცხა "ეიხელის" ცნობილ სტადიონზე. საერთოდ, პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 80 მატჩში პონეკა გაიტანა 24 გოლი.

გიორგი ჯალალანია

იუპოკრი

- რა იყო, რას მოგიწყენია?
- ქალთან ვიყავი პაემანზე, განცხადებით გავიცანი, 90-60-90 ვარო.
- რას ამბობ, - მეკრდი, წელი და თემო?
- მეც მასე მეგონა, მაგრამ სიმალდე, ასაკი და წონა ყოფილა.***
- საათს არემონტებო?
- არა, აქ წინდაცვეთას ვატარებო.
- აბა, საათი რატომ ჰკიდიო კარებზე?
- მაშ, თქვენი აზრით, რა უნდა ეკიდოს?***
- ეკიმო, გასინჯეთ ჩემი ძროხა, ამ ბოლო დროს ცუდად იკვებება!
- მე თურაპეტი ვარ და არა ვეტეკიმი!
- არა მეგონია, მაგას ჩემი ძროხა მიხედვს...***
- წვეულებაზე:
- გოგონა, კი ძლინგი მოგწონთ? საშინლად გაწითლებული გოგონა:
- არ ვიცო, ჯერ არ მიცდია...***

ლოთი ქმრების ცოლებმა საუკეთესო გამოგონებად მიიჩნიეს ბოთლი, რომელსაც თავსახურის მოხსნისას სიგნალიზაცია ერთვება!***

- შეიძლება პატიმარ ციხე-ლაშვილის ნახვა?

- ახლა არა, გუშინ გავანთავისუფლეთ, ასე ერთ თვეში გამოიარეთ...

მე-3 გვერდიდან
იბერიონის ხასიციცხლო მიზანია მისი წვერების - იბერიელების ღვთიური დანიშნულების აღსრულება და საზოგადოებისათვის იგივეში დახმარება. ადამიანი ღვთიურ დანიშნულებას უკეთ აღსრულებს სულიერად გონებრივად და აქედან გამომდინარე, მატერიალურად ძლიერ საზოგადოებაში.
იბერიონში გამორჩეული იბერიელი, რომელიც მისწრაფვის სრულად აღსრულოს თავისი ამქვეყნიური დანიშნულება და ამ ძალით გახდა ახალი იბერიის იდეის, არსის მცველი რაინდი - არის იბერი. იბერი - იბერიელის განვითარების უმაღლესი დონეა.
იბერი - სულიერების, სიბრძნის და სიყვარულის რაინდია.
იბერები ქმნიან ერთიან რიტმს - იბერიონის რიტმს, რომლის გვირგვინია მათი გაერთიანებული გონი - იბერთგონი.
იბერთგონი თვისობრივად ახალი ცნებაა, რომელიც განსხვავდება კაცობრიობის ისტორიაში შექმნილი და ამოქმედებული ყველა სხვა კოლექტიური გონისგან იმით, რომ მას საფუძვლად უდევს ღვთიურ კანონზომიერებაზე დაფუძნებული - სულიერება, სიბრძნე და სიყვარული.
იბერთგონი ის ღვთიური ძალაა, რომელიც ქმნის ახალ იბერიას.
ქართული ერთიანი გონის - იბერთგონის

ახალი იბერია თვისობრივად ახალი საზოგადოება

შექმნაზე მომუშავე ჯგუფი - იბერიონი ეფუძნება, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სულიერებას და სიბრძნეს, ასევე ყველა იმ ზოგადსაკაცობრიო ღვთიურ ცოდნას, რომელიც დაგვეხმარება ძლიერი, თვისობრივად ახალი საზოგადოების და სახელმწიფოს შექმნაში..
სულიერება, სიბრძნე და სიყვარული ადამიანის ის ფასეულობებია, რომლებიც მას ხდის ღვთის თანაშემომქმედად. ყოველი მიზანი, განზრახვა, რომელიც ეფუძნება ამ თვისებებს - ღვთიური კანონზომიერების გამოსატყულებაა დედამიწაზე. ამიტომ იბერთგონით შექმნილი საზოგადოება - ახალი იბერია - ღვთის ნების გამოვლინებაა და მიიღებს მისგან ყველანაირ მხარდაჭერას და დახმარებას, როცა იქნება **იბერიელთა** სურვილი და შესაბამისი განზრახვა.
არ არსებობს უფრო მეტი ძლევა მოსილება, ვიდრე იყო ღვთის მოკავშირე და თანაშემომქმედ.
მიზანი და განზრახვა აყალიბებს იბერიელს. იბერიელთა ერთობა ქმნის სისტემას - იბერიონს.
იბერიონში სულიერებით, სიბრძნით და სიყვარულით ამაღლებული იბერიელი ხდება იბერი.

იბერები ქმნიან ერთიან რიტმს, ძალას - იბერთგონს.
იბერები იბერთგონის ძალით აყალიბებენ თვისობრივად ახალ ქართულ საზოგადოებას - ახალ იბერიას.
ახალი იბერია აშენებს თავისი სულიერების, სიბრძნისა და სიყვარულის შესაბამის თვისობრივად ახალ, ძლევა მოსილ ქართულ სახელმწიფოს.
ღმერთის აბოლუტური თვისება არის უნაგარო სიყვარული და სიკეთე. ადამიანი მაშინ ემსგავსება უზენაეს შემომქმედს, როცა ასევე უნაგაროდ გასცემს სიყვარულს, სიკეთეს (მსახურება, ღვაწლის გაღება). მისი გვირგვინია **"გიჟვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი"**. თუ ადამიანი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო, კაცობრიობა არ ავლენს ამ თვისებებს, ის ღმერთს და შორებულა, დაპირისპირებულია და შესაბამისად არ შემდგარი ადამიანი, საზოგადოება, ერი, სახელმწიფო და კაცობრიობაა.
ამიტომ, იბერიონი დარწმუნებულია, რომ ისტორიის თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მოსახლეობისთვის არ არსებობს უფრო დიდი მიზანი და შემოქმედება, ვიდრე სულიერებასა, სიბრძნესა და სიყვარულზე დაფუძნებული თვისობრივად ახალი საზოგადოების და სახელმწიფოს მშენებლობა.
თამაზ ფირცხალავა
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჯგუფი "იბერიონი"

დიდი ომი და დიდი მთავარსარდალი

გაგრძელება 7-გვდან
ერთად, მათ პასუხისმგებლობის გრძობაც გაუთავკვდათ, ისინი კიდევ უფრო შეუპოვრად ეკვეთნენ მტერს, გაშმაგებით შეუტყეს მის პოზიციებს.
...და, რა თქმა უნდა, სინანულს, ირონიულ ღიმილს იწვევს ანტისტალინური ბრიყველი დეკაპოგია, რომელიც აღნიშნულ ფაქტზე დაერდნობოდა **"ამტკიცებს"**, თითქოს სტალინი იმდენად სასტიკი დესპოტი იყო, საკუთარი შეიღიც კი არ დაიწყო. ხელიდან გაუშვა ერთადერთი რეალური შანსი, დაეხსნა იგი ფაშისტური ტყვეობის ჯოჯოხეთიდან და წამებით სიკვდილისთვის გასწორა.
მართლაც, რა მოხდებოდა, სტალინს რომ გადაეღება საბედისწერო ნაბი-

ჯი, აჰყოლოდა ჩვეულებრივი მამის გრძობებს და იაკობი პაულიუსში გაცვალა? მოხდებოდა ის, რაც სტალინმა მოლოტოვთან საუბარში განაცხადა, და კიდევ ის, რომ მსოფლიო ინფორმაციის საშუალებები, პირველ რიგში, გებულის, პლანეტას მოჰფენდა იმ ამბავს, რომ სტალინმა, რომელიც ჩვეულებრივ ტყვეს სამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს, თავისი ტყვე შეილი, გერმანელ ტყვე ფელდმარშალზე გაცვალა... და მაშინ იგი უკვე აღარ იქნებოდა ყველა დროისა და ყველა ხალხის ბრძენი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი: ის იქნებოდა ისეთივე ორდინალური სახელმწიფო მოღვაწე, თავისი ხალხის მოღალატე მმართველი, როგორებიც იყვნენ - ხრუშჩოვი, გორბაჩოვი, ელცინი.
ბიზი ამრქმნიშვილი,
ნაწვეტი წიგნიდან „სტალინი, პერმანენტული გამარჯვების ღმერთი“

რედაქციის მისამართი: **თბილისი, ხანდუკელის ქუჩა №1, სარეგ. №01018002930**

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალალანია**
მთ. რედაქტორის მოადგილე: **დავით ქობალია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოქრიშვილი**
ბაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია**

www ilori.ge
e-mail: **elisabetthal@yahoo.de**
რეკლამის განთავსება: **893-51-01-71**
899-34-37-27